P.S.

თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

ნაირა გელაშვილმა მწერლებს ხუდონჰესის საწინააღმდეგო პეტიციის ხელმოწერისკენ მოუწოდა

იხილეთ მე-9 გვერდზე

მაია მიმინოშვილი: „ეს არის სისტემის დანგრევა, მაშინ ჩვენ ეროვნული გამოცდები არ გვჭირდება“

იხილეთ მე-3 გვერდზე

№ 25 (675) 30 სექტემბერი - 6 ოქტომბერი, 2013 გამოდის 1995 წლიდან ფასი: 70 თეთრი

PS news.ge

ეწვიეთ გაზეთ „P.S.“-ის განახლებულ საინფორმაციო ინტერნეტპორტალს www.psnews.ge-ს, ყოველდღიურად იკითხეთ ცხელ-ცხელი ამბები და იყავით ინფორმირებული!

რისთვის იხდიდა სასჯელს კოტე ლომიძე და აპირებს თუ არა მერობისთვის ბრძოლას?

„დიმიტრი კოპალიანი ადრე დაბრუნდა ქუთაისში, მისი გამოცდილების ადამიანი 10 წელიწადში დასჭირდება ქალაქს,“ - ამბობს კოტე ლომიძე

ექსკლუზიური ინტერვიუ ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელთან

კოტე ლომიძე ქუთაისის საზოგადოებამ მიმდინარე წლის ივნისში გაიცნო, როდესაც ქალაქის ახალარჩეულმა მერმა, დიმიტრი კოპალიანმა, იგი ვიცე-მერის პოსტზე წარადგინა, სოციალური საკითხების კუთხით. მაგრამ მოვლენათა უცნაური განვითარების გამო, ბოლო ორი თვის განმავლობაში ორჯერ დაინიშნა მერის მოვალეობის შემსრულებლად და ქალაქის თავის ფუნქციები გადაიბარა. როგორც თავად აღნიშნავს, დაკისრებული მოვალეობისთვის წარმატებით თავის გართმევა იყო იმის წინაპირობა, რომ მერის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობა მეორედ ჩააბარეს. სამთვიანი მუშაობის მიუხედავდ, კოტე ლომიძის მიმართ მრავალი კითხვა არსებობს. რას საქმიანობდა ვიცე-მერის თანამდებობაზე დანიშვნამდე, რა გეგმები აქვს და როგორ აფასებს ქუთაისში განვიათარებულ მოვლენებს, ამ და სხვა საკითხებზე ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელმა გაზეთ „P.S.“-ს ექსკლუზიური ინტერვიუ მისცა.

კოტე ლომიძე: – 1966 წლის 15 ივნისს ქუთაისში დავიბადე, მშობლები ქუთაისელები არიან, მყავს მეუღლე და ორი შვილი. 1989 წელს დავამთავრე მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში, ასევე, ვსწავლობდი მოსკოვში, მსუბუქი მრეწველობის უნივერსიტეტში. მოსკოვშივე ვმუშაობდი წინდების ქარხანაში ზეინკლად, მაგრამ საქართველოში განვითარებული მოვლენების გამო დავბრუნდი. რის შემდეგაც, დავიწყე მუშაობა „საქინტურისტმშენში“, ვიცე-პრეზიდენტად. მუშაობა მომიწია კერძო სტრუქტურებში, მქონდა კერძო ბიზნესი. ვარდების რევოლუციის შემდეგ გახლდით გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგებლის მოადგილე. შემდგომ – ნაძალადევის რაიონის „ნაციონალური მოძრაობის“ შტაბის ხელმძღვანელი ვიყავი, მაგრამ 2009 წლის მოვლენების დროს, მთელი ჩემი შემადგენლობით ოპოზიციაში გადავედი, ისე, რომ არ დავეკითხეთ არავის, ეს იყო ლევან გაჩეჩილაძის პოლიტიკური აქტიურობის პერიოდი.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

ათწლიანი დავა ამორტიზებული შენობისთვის

„P.S.ფოტო“ (მარიამ პატარაია) ©

იხილეთ მე-5 გვერდზე

საწვავი არის შშმ ბავშვებისთვის, მაგრამ ავტობუსი – არა

იხილეთ მე-7 გვერდზე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგებელი რაიონში სამართლიანობის აღდგენას გეგმავს

იხილეთ მე-7 გვერდზე

პარლამენტი სახელმწიფო ენის ნორმების დარღვევისთვის ჯარიმების დაწესებას გეგმავს

იხილეთ მე-11 გვერდზე

რატომ ყიდულობდა ქუთაისის მერია ძვირადღირებულ ავტომობილებს შსს-სთვის?

ქუთაისის მერიას 150 ათას ლარამდე ღირებულების ავტომობილებს უბრუნებენ

იხილეთ მე-2 გვერდზე

გადადეს თუ არა გვერდზე ამერიკელებმა საქართველოს პრობლემები?

იხილეთ მე-4 გვერდზე

„წინასაარჩევნო გარემო არის უფრო ღია, ვიდრე ერთი წლის წინ“

იხილეთ მე-5 გვერდზე

სერგო რატიანი:

„განათლების კანონს ირმა გიგანისა და ბორის ბედიას გამო ცვლიან“

იხილეთ მე-3 გვერდზე

ქიმერიონი
qimerioni.ge
წიგნების მაღაზია
მისამართი: ქუთაისი, „პოპული“;
ტელ.: 790 927 927.
წიგნები
შენ გელოდება!
ქუთაისი, სავაჭრო ცენტრი „პოპული“. წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“. ტელ.: (790) 927 927.

PS news.ge

ISSN 1987-7056

დაფინანსებული ფართი — გვ. 6, 8.

განცხადებები — გვ. 11

რისთვის იხდიდა სასჯელს კოტე ლომიძე და აპირებს თუ არა მერობისთვის ბრძოლას?

„დიმიტრი კოპალიანი ადრე დაბრუნდა ქუთაისში, მისი გამოცდილების ადამიანი 10 წელიწადში დასჭირდება ქალაქს," - ამბობს კოტე ლომიძე

პირველი გვერდიდან

ოპოზიციაში გადასვლის მიზეზი ბევრი რამ იყო, რაზეც ახლა არ ვისაუბრებ. რისკის ქვეშ დავაყენე ის ხალხი, ვისაც ჩემი სჯეროდა. აქციაზე სიტყვით გამოსვლისთანავე დამირეკა უცნობმა პირმა და დამემუქრა, რომ ჩემი საქციელის გამო, თვენახევარში საპყრობილეში ამოვყოფდი თავს და ასეც მოხდა. ზუსტად თვენახევარში, ფულის მითვისების ბრალდებით, მე და ჩემი უფროსი, მერაბ მაისურაძე, ოთხი წლით ციხეში გამოგვკეტეს. 25 სასამართლო პროცესი ჩატარდა, მოწმეები ვერ გვცნობდნენ, მაგრამ ჩვენი სიმართლე მაინც ვერ დავამტკიცეთ. წელიწადნახევარი გლდანის ციხეში ვიჯექით, შემდეგ კი რუსთავის მე-16-ე კოლონიაში გადაგვიყვანეს. პოლიტპატიმართა პირველ ათეულში ვირიცხებოდი. 13 იანვარს ამინისტირებულ 180 კაცთან ერთად გამოვედი, დამტკიცდა ჩემი უდანაშაულობა, რისთვისაც ნასამართლეობა მომეხსნა. ციხიდან გამოსვლისთანავე „ქართულ ოცნებაში" გავწევრიანდი.

მერის მოვალეობის შემსრულებელი მოსახლეობასთან შეხვედრის დროს

„P.S. ფოტო" ©

— ბატონო კოტე, ვისგან მიიღეთ შემოთავაზება ქუთაისის ვიცე-მერის თანამდებობა დაგეკავებინათ და ამდენწლიანი განშორების შემდეგ იცნობდით თუ არა ქალაქის პრობლემებს?

— გამოცდილების გამო შემომთავაზეს ეს თანამდებობა. მიუხედავად იმისა, რომ არ ვიმყოფებოდი ქალაქში, ქალაქის პრობლემებს მეტ-ნაკლებად ვიცნობდი. თუმცა, მინდა აღვნიშნო, რომ უარესობისკენ დამხვდა შეცვლილი ყველაფერი. ბევრ სიბინძურეს აქვს ადგილი ამ ქალაქში, ადამიანები ერთმანეთს ატყუებენ, პატიოსანი ადამიანების დეფიციტიცაა ქუთაისში. ხელოვნურად ქმნიან პრობლემებს, ნუ მომთხოვთ დაკონკრეტებას, რადგან ბევრია უკანონობა და ეს ჩემი მხრიდან პოლიტიკური განცხადება იქნება.

— იმ დროის განმავლობაში, რაც მერის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობა გიჭირავთ, არაერთი პრობლემის წინაშე დადექით, როგორ ფიქრობთ, რამდენად გაართვით თავი ამ გამოწვევებს?

— ჩემი მეგობრები იძახიან, რომ ძალიან კომუნიკაბელური ვარ. თუნდაც იმ აქციების დროს, რაც მერიის წინ გაიმართა. მე, პირადად, ჩავედი მათთან და გავესაუბრე, მაშინ, როცა შემეძლო, ვიცე-მერისათვის დამევალებინა. მე მესმის ამ ხალხის პრობლემები, ამიტომ ვცდილობ, გამოსავალი ვიპოვო. რაც შეეხება მძღოლების თემას, ის კონკრეტული ადამიანების მიერ იყო მართული, ქუთაისში მოჯადოებული წრეა, ერთ პრობლემას მოაგვარებ, მაშინვე მეორე აგიფეთქდება.

— აღნიშნულ თანამდებობაზე ოთხ ნოემბრამდე რჩებით, რის შემდეგაც, შესაძლოა, კვლავ კონკურსი გამოცხადდეს, აპირებთ თუ არა კონკურსში მონაწილეობის მიღებას?

— ბევრი გამოწვევა დგას ჩემს წინაშე, გაბედული ნაბიჯების გადადგმაა საჭირო, თუ ეს პრობლემები მოვაგვარე, ამ შემთხვევაში მივცემ თავს უფლებას, კონკურსში მივიღო მონაწილეობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, არ ვიბრძოლებ ამ პოსტისთვის. ერთი შემიძლია გითხრათ, ქუთაისს არ ეყოლება მარიონეტული მთავრობა და მარიონეტი მერი. ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა საბინაო პრობლემაა, რომლის დაძლევასაც ვცდილობთ, ხალხი ყველა სიკეთეს, განსაკუთრებით, არჩევნების შემდეგ იგრძნობს. ახლა რთული პერიოდია. სიტუაცია დალაგდება, უბრალოდ, უნდა გააქტიურდეს მოსახლეობა, ყველამ თავისი სამსახურით უნდა შეგვიწყოს ხელი, ადგილობრივი ბიზნესი უნდა გააქტიურდეს და მივიღებთ იმ ქუთაისს, რაც ეკადრება ასეთი ისტორიის ქალაქს. ვაპირებ, მოვიწვიო პროფესიონალები, რომლებიც ქვეყნიდან არიან გასულები, მათი მუშაობაც გამოადგება ქალაქს.

— თუმცა, ამერიკიდან დაბრუნებულმა დიმიტრი კოპალიანმა ადგილობრივ თვითმმართველობაში გუნდური მუშაობა ვერ შეძლო, რატომ არ მოხდა მისი პროფესიონალიზმის გამოყენება?

— დიმიტრი კოპალიანს არაჯანსაღი გარემო დახვა, მუშაობის საშუალება არ მიეცა, ბევრი გამოწვევაა ამ ქალაქში და ეტყობა დიმიტრის ადაპტაცია გაუჭირდა. მე ასეთი პატიოსანი ადამიანი, როგორიც დიმიტრი კოპალიანია, არ მინახავს, ის არის თავის საქმის პროფესიონალი, მაგრამ ვფიქრობ, რომ მისი ადგილი განათლების სისტემასა და მეცნიერებაშია, ის ამ სფეროდან უფრო გამოადგება ქალაქს, თუ შევძლებთ ამ ქალაქის ფეხზე დადგომას, კოპალიანის გამოცდილების მქონე ადამიანი 10 წელიწადში დასჭირდება ქუთაისს, ის ცოტა ადრე დაბრუნდა ქალაქში.

— ბატონო კოტე, 2013 წლის ქუთაისის ბიუჯეტის შესაძლო სეკვესტრის შესახებ ინფორმაცია აქტიურად ვრცელდება. როგორ ფიქრობთ, რა პრობლემების გამო დადგა ბიუჯეტის შეუსრულებლობის საკითხი?

— უბრალოდ, თვითონ ბიუჯეტის ფორმირება იყო არასწორო. მართალია ჩვენს ოპონენტებს სხვა წარმოდგენა აქვთ, მაგრამ ყველასთვის კარგად არის ცნობილი, რა მეთოდებით ცდილობდა წინა მთავრობა ბიუჯეტის შევსებას, ეს ხდებოდა ტერორით და დაშანტაჟებით, ამიტომ უხერხულია მათი შენიშვნები. რაც შეეხება ბიუჯეტის შესრულებას, მართლაც არის პრობლემები, ოქროს ორი თვე დავკარგეთ ჩვენ, რადგან არცერთი პროექტი არ ხორციელდება, დაგვიანებით გავიდა ქონება აუქციონზე, მაგრამ ვცდილობთ, იჯარაზე გატანით მოვიძიოთ თანხები და ბიუჯეტი შევავსოთ. იმედს არ ვკარგავთ, რომ მიმდინარე წლის ბიუჯეტს შევავსებთ. უბრალოდ, დროში ვართ ხელშეშლილები. როდესაც ვსაუბრობ ბიუჯეტის არასწორად დაგეგმაზე, მხედველობაში მაქვს, თუნდაც, მერიის სოციალური სამსახურის ბიუჯეტი, რომელიც თითქმის სრულად გაიხარჯა 5 თვეში და, ფაქტობრივად, 7 თვისთვის თანხები არ დაგვრჩა, მაგრამ მოვახერხეთ და სხვა სფეროდან მოვახდინეთ თანხების მოზიდვა, რათა სოციალურად დაუცველი არცერთი მოქალაქე ზამთრის პერიოდში პირველადი დახმარების გარეშე არ დარჩეს. ჩვენ შეძლებისდაგვარად ვეხმარებით ჩვენთან მოსულ ყველა გაჭირვებულ ადამიანს.

— რა პროექტების განხორციელებას გეგმავთ უახლოეს მომავალში?

— ჩვენთან თბილისიდან იყო დელეგაცია ჩამოსული და გვქონდა მსჯელობა საზოგადოებრივი ტრანსპორტის იაპონური ელექტრო ავტობუსებით ჩანაცვლებაზე. ქუთაისი იქნება ექსპერიმენტალური ქალაქი და პირველად ჩვენთან დამკვიდრდება აღნიშნული ტრანსპორტი, რომელიც არის ეკოლოგიურად სუფთა, არ მოიხმარს საწვავს და დენზე დაიტენება. მათი შენახვა 10-ჯერ იაფი ჯდება. არ მინდა იფიქროს ვინმემ, რომ ამით მძღოლებს რაიმე პრობლემა შეექმნებათ, პირიქით, მათ მუშაობა გაუადვილდებათ და გადასახადიც ნაკლები ექნებათ. სწორედ ისინი იმუშავებენ, რომლებიც ამჯერად მუშაობენ ქალაქის ტრანსპორტზე. რაც მთავარია, გაიაფდება მგზავრობის საფასური, მაგრამ კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ეს ამ დროისათვის, მხოლოდ იდეის დონეზეა და მოლაპარაკებები გრძელდება. ჩვენ გვაქს ცენტრალური ხელისუფლების იმედი, რომ ქუთაისში აღნიშნული პროექტი განხორციელდება. არაა გამორიცხული ელექტრო ავტობუსების შეძესაძენად ფული ადგილობრივმა ბიზნესმენებმაც ჩადონ. შესაძლებელია საქალაქო ტრანსპორტი მუნიციპალურ ტრანსპორტად გადაკეთდეს, რაც ტრანსპორტს მონოპოლიისგან გაათავისუფლებს, თუმცა, ეს მარტივი პროცესი არ იქნება. ქუთაისი პატარა ქალაქია და ყველამ კარაგად იცის, ვინ რას ფლობს, რამდენიმე პიროვნების ხელშია ქალაქის ტრანსპორტი. ერთ ადამიანს, დაახლოებით, 10 ხაზი აქვს, თუმცა ეს ადამიანები არ ჩანან. როგორც კი ხდება მათი ხაზის 15-17 პროცენტით გადაფარვა, ეგრევე გაფიცვა ხდება, უბრძანებენ მძღოლებს და ისინიც მუშაობას აჩერებენ. მათ ჰგონიათ, რომ ჩვენ არაფერი ვიცით. ჩვენთვის ყველაფერი ცნობილია, მაგრამ დაუწერელ კანონს ვიცავთ, რადგან გაფიცვები არ გვჭირდება და მძღოლებსაც ვუფრთხილდებით.

— აქვე მინდა გკითხოთ, როგორც მერის მოვალეობის შემსრულებელი და როგორც რიგითი მოქალაქე, ბოლო 10 წლის განმავლობაში ქალაქის 10 მერიდან, რომლის საქმიანობას შეაფასებდით მეტ-ნკლებად წარმატებულად?

— მიჭირს ვისაუბრო სხვების საქმიანობაზე, მაგრამ მოსახლეობის აზრის გათვალისწინებით, ფალიანის მერობის პერიოდს შევაფასებდი დადებთად, თუმცა, ზოგადად, ქუთაისს წარმატებული მერი არ ჰყოლია. კოპალიანის მუშაობას ვერ შევაფასებ, რადგან მას მუშაობის საშუალება არ მიეცა.

ნესტან ჩაგელიშვილი

მთავარი რედაქტორი:
ნატო გუბელაძე

ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი:
ნესტან ჩაგელიშვილი

დიზაინი: ირმა ბახუტაშვილი

ოპერატორი და კორექტორი:
ლალი კუპრაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

® — ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე

გამომცემელი — შპს „P.S." („პოსტსკრიპტუმი").
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია
№5/ბ-1401

გაზეთ „P.S."-ის კლასიფიკაციის კოდი:
UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054)
პ - 658
P - 86

მისამართი: ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37°. პრესის სახლი.

- (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
- psnews27@gmail.com
- www.psnews.ge

რატომ ყიდულობდა ქუთაისის მერია ძვირადღირებულ ავტომობილებს შსს-სთვის?

ქუთაისის მერიას 150 ათას ლარამდე ღირებულების ავტომობილებს უბრუნებენ

შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის 6 წლის წინ შეძენილ ავტომობილებს თავად მფლობელები აბრუნებენ. მიზეზი ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოცემული ბრძანებაა, რომლის მიხედვითაც მიმდინარე წლის 1 ოქტომბრიდან ადგილობრივ თვითმმართველობებში ინვენტარიზაციის პროცესი უნდა დაიწყოს, თუმცა 6 წლის შემდეგ, საბიუჯეტო სახსრებით შეძენილი ავტომობილები ქუთაისის ადგილობრივმა თვითმმართველობამ შესაძლოა, უკან აღარ დაიბრუნოს.

2007 წელს ქუთაისის მერიამ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის 6 ავტომობილი შეიძინა. დაახლოებით 150 ათასი ლარის ღირებულების ქონების შეძენა ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა. რა მიზნით და კონკრეტულად ვის გადასცა ძვირადღირებული მანქანები ადგილობრივმა ხელისუფლებამ, უცნობია. ცნობილია მხოლოდ ის, რომ თითოეულ ავტომობილში მერიამ 20-დან 30 ათას ლარამდე გადაიხადა და 6-დან ერთი ავტომობილი 2008 წელს პერევში განვითარებული ცნობილი მოვლენების დროს იყო გამოყენებული.

ახლა კი, ძვირადღირებულ ავტომობილებს, რომლებიც არაოფიციალური ინფორმაციით, სავალალო მდგომარეობაშია, მერიას უკან უბრუნებენ, თუმცა, მათ დაბრუნებაზე ადგილობრივმა ხელისუფლებამ შესაძლოა, უარი თქვას.

6 წლის წინ მომხდარი ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოპოვებას ადგილობრივ თვითმმართველობაში ამ დრომდე ცდილობენ. მას შემდეგ კი, რაც დადგინდება ავტომობილების ამჟამინდელი მფლობელების ვინაობა, ქუთაისის მერია მანქანების ექსპერტიზას მოითხოვს. ავტომობილების ფიზიკური და მორალური ცვეთის ხარისხის ნორმებთან შეუსაბამობის შემთხვევაში კი მფლობელებს მათი შეკეთება დაეკვალება. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ავტომობილი დაზიანებების გამო, გამოუსადეგარი იქნება, ადგილობრივი თვითმმართველობა მას უკან არ დაიბრუნებს, მფლობელი კი ღირებულებას აანაზღაურებს.

როგორც ირკვევა, 2007 წელს შსს-თვის ძვირადღირებული ავტომობილების გადაცემის ფაქტი ერთადერთი შემთხვევა არ ყოფილა. ქუთაისის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსის ყოფილი მოადგილე კოტე ქავთარაძე იხსენებს, რომ მსგავსი შემთხვევები აღნიშნულ პოსტზე მისი მოღვაწეობის დროს არაერთხელ მომხდარა.

„6 წლის წინანდელი ამბების გახსენება რთულია, თუმცა, ნამდვილად ვიცი, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს არაერთხელ დაუვალებია ადგილობრივი თვითმმართველობისთვის ძვირადღირებული ავტომობილების შეძენა. ეს კონკრეტული ფაქტი არ მახსოვს იმიტომ, რომ ძალიან ბევრჯერ ხდებოდა მსგავსი რამ. ახლა ძნელია, დეტალები გავიხსენო," – განაცხადა კოტე ქავთარაძემ, რომელსაც საფინანსო სამსახურის უფროსის მოადგილის თანამდებობა 2007 წელს ეკავა. მისივე თქმით, მსგავს შემთხვევებში გადაწყვეტილებებს საკრებულო იღებდა, რადგან საჭირო თანხის გამოყოფა ყოველთვის ქალაქის ბიუჯეტიდან სხვა სფეროებისთვის განკუთვნილი ფინანსების შემცირების ხარჯზე ხდებოდა.

გაზეთი „P.S." („პოსტსკრიპტუმი") ძვირადღირებული ავტომობილების შეძენის ფაქტის გადამოწმებას მერიის შესყიდვების სამსახურის მაშინდელ უფროსთან, ნოდარ მიქიაშვილთანაც შეეცადა, თუმცა, მისი საკონტაქტო ნომერი ამ დრომდე გამორთულია. დაუდასტურებელი ინფორმაციით, იგი ქვეყანაში არ იმყოფება.

სულ რამდენი ავტომობილი გადაეცა შსს-ს ბოლო წლების განმავლობაში და რა რაოდენობის ზარალი მიადგა ქალაქის ბიუჯეტს ძვირადღირებული ავტომობილების შეძენის გამო, მალე გაირკვევა. ქუთაისის მერიაში ავტომობილების დაბრუნების პროცესი 1 ოქტომბრიდან ფინანსთა სამინისტროს ბრძანების ამოქმედებისთანავე უნდა დაიწყოს.

მარიამ პატარაია

სერგო რატიანი: „განათლების კანონს ირმა გიგანისა და ბორის ბედიას გამო ცვლიან“

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრი, სერგო რატიანი იმ პირების გვარებს ასახელებს, რომელთა გამოც პარლამენტი უმაღლესი განათლების შესახებ კანონში ცვლილებების შეტანას აპირებს.

News.ge-სთან საუბრისას რატიანმა განაცხადა, რომ კომიტეტმა კანონპროექტზე მუშაობა მას შემდეგ დაიწყო, რაც პარლამენტს ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიამ და აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემიამ მიმართეს.

მისივე თქმით, ამ პირებს შორის პიანისტი ირმა გიგანი და მომღერალი ბორის ბედიაც არიან.

„სამხატვრო აკადემია თამაზ დონაძის, დავით თომაშვილის, დავით მამაგულიშვილისა და ანა შანიანის მოხვედრას ითხოვს უმაღლეს სასწავლებელში, ხოლო კონსერვატორია — ირმა გიგანის, ბორის ბედიას, ხატია კიკნაძისა და დავით დარბანიანის. რაც შეეხება ივანე კიღურაძის განცხადებას, რომ ამ მოსწავლეთა რაოდენობა 17-ს შეადგენს, არ ვიცი და ამას მოვიკითხავ,“ — აღნიშნა რატიანმა.

შეგახსენებთ, რომ შემუშავებული კანონპროექტის მიხედვით, განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდები, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩაირიცხებიან, თუ მათ საერთაშორისო ოლიმპიადაში ან სახელოვნებო-შემოქმედებით კონკურსში უმაღლესი შეფასება აქვთ მიღებული. აღნიშნული ცვლილებები განათლებისა და მეცნიერების საპარლამენტო კომიტეტმა მოამზადა და „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში შედის.

news.ge

გოგი წულაია სპორტული „აიპის“ გაუქმებას მოითხოვს

23 სექტემბერს პარტია „თავისუფალი საქართველოს“ იმერეთის ორგანიზაციის თავმჯდომარემ გოგი წულაიამ სპორტული „აიპების“ შესახებ ბრიფინგი გამართა. მისი განცხადებით: „აიპებში“ გაბერილია შტატები „ნაციონალური მოძრაობის“ ზონდერ ბრიგადების მიერ, არსებობს აბსურდული თანამდებობები, რის გამოც უაზროდ იფლანგება ქუთაისის ბიუჯეტი, ეს კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობაში ჩააგდებს ისედაც კრიზისში მყოფ ქალაქს“.

მან მერის მოვალეობის შემსრულებელს კოტე ლომიძეს მიმართა, რომ გააუქმოს „აიპი“ ან საფუძვლიანად გადახედოს და შეამციროს შტატები.

„დადგინდეს რა რაოდენობის ადამიანი სჭირდება ქალაქის მართვას. მათი შენახვა ქალაქს უნდა დაუჯდეს იმდენი, რაც ტვირთად არ დააწვება ბიუჯეტს,“ — აცხადებს **გოგი წულაია.**

ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელი კოტე ლომიძე გოგი წულაიას მალევე გამოეხმაურა და psnews.ge-სთან საუბარში აღნიშნა, რომ „აიპებში“ მომუშავე პერსონალის შტატები გადაიხედება, რადგან ძალიან დიდი თანხა იხარჯება გაუაზრებლად, თუმცა, ეს არ ნიშნავს „აიპი“ გაერთიანების გაუქმებას.

ჟანა ჯანელიძე
psnews.ge

მაია მიმინოშვილი: „ეს არის სისტემის დანგრევა, მაშინ ჩვენ ეროვნული გამოცდები არ გვჭირდება“

მაია მიმინოშვილი კატეგორიულად ეწინააღმდეგება განათლების კომიტეტის მიერ მომზადებულ ცვლილებას და არ გამორიცხავს, ცვლილება კონკრეტულ პიროვნებაზე იყოს ფოკუსირებული

გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი მაია მიმინოშვილი კატეგორიულად ეწინააღმდეგება განათლების კომიტეტის მიერ მომზადებულ ცვლილებას, რომლის თანახმადაც განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩაირიცხებიან, თუ მათ საერთაშორისო ოლიმპიადაში ან სახელოვნებო-შემოქმედებით კონკურსში უმაღლესი შეფასება აქვთ მიღებული.

მაია მიმინოშვილის თქმით, შესაძლოა, აღნიშნული ცვლილება კონკრეტულ პიროვნებაზე იყოს ფოკუსირებული.

„ვინ დაადგინა, რომ არის ერთი ისეთი საერთაშორისო ოლიმპიადა, სადაც გამარჯვებული ნიჭიერია,“ — ამის შესახებ მაია მიმინოშვილმა განაცხადა და აღნიშნა, რომ მსოფლიოში უამრავი საერთაშორისო ოლიმპიადა იმართება და ცნება — „საერთაშორისო ოლიმპიადაზე გამარჯვებული“ გაუგებარია.

„რომელ საერთაშორისო ოლიმპიადაზეა საუბარი“?700 ათასი საერთაშორისო ოლიმპიადა არსებობს. როგორ გავარკვიოთ? მაშინ, რა დააშავეს სპორტსმენებმა, ისინიც მონაწილეობენ ოლიმპიადებში. მათაც აქვთ ძალიან დაძაბული გრაფიკი და არიან მართლა ძალიან ნიჭიერები. რა დააშავეს მომღერლებმა და მოცეკვავეებმა, რომლებსაც ჩვენი კულტურა გააქვთ მსოფლიოში. ეს ჯაჭვი ნიჭიერების არ დამთავრდება. აღნიშნული ცვლილებების კატეგორიული წინააღმდეგი ვარ. ეს არის სისტემის დანგრევა. მაშინ, ჩვენ ერთიანი ეროვნული გამოცდები არ გვჭირდება. მინდა, ვინმემ ამიხსნას, რას ნიშნავს ტერმინი „საერთაშორისო ოლიმპიადაში გამარჯვებული“, მაგალითად, მე მაქვს უფლება, თბილისში რაღაც ოლიმპიადა ჩავატარო, სრულიად არ იქნება ჩემთვის რთული, ერთი უცხოელი ბაქოდან, ერევნიდან ჩამოვიყვანო, მივაღებინო მონაწილეობა. ვიტყვი, რომ არის საერთაშორისო ოლიმპიადა. ამ ჩემს ოლიმპიადაში გამარჯვებულიც ითვლება? დავუშვათ, ბავშვმა გაიმარჯვა ძალიან პრესტიჟულ ფიზიკის საერთაშორისო ოლიმპიადაში. რადგან მან ფიზიკის ოლიმპიადაში გაიმარჯვა, ამისათვის უნდა ჩავუთვალოთ მას ქართული, უცხო ენა და უნარებიც? ან ფიზიკის ოლიმპიადაში გამარჯვებულს, უნდა სამართალმცოდნეობაზე ან სამედიცინო უნივერსიტეტში სწავლა, რა კავშირშია ფიზიკა ამ ორ მიმართულებასთან? რას ნიშნავს, ფიზიკის ოლიმპიადაში გამარჯვებული, რომ აპრიორი გაცილებით უკეთესია, ვიდრე აბიტურიენტი, რომელმაც ეროვნულ გამოცდებზე ძალიან მაღალი ქულები მიიღო? ეს შედარება ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელია,“ — განმარტა მაია მიმინოშვილმა. მისივე თქმით, გაურკვეველია სახელოვნებო-შემოქმედებით კონკურსში გამარჯვებულთა საკითხიც. „რომელ შემოქმედებით ტურის უმაღლეს შეფასებაზეა საუბარი. მაგალითად, კონსერვატორია გვაქვს თბილისშიც, ქუთაისშიც და ბათუმშიც. თბილისის კონსერვატორია არ ცნობს ბათუმისა და ქუთაისის კონსერვატორიების შეფასებას. ამას რა ვუყოთ? ახალი კანონპროექტი მეუბნება, რომ აბიტურიენტი, მაგალითად, პიანისტი დარჩეს სისტემაში, თანხა სისტემიდან წაიღოს, ოღონდ, რომ ჩაიჭრა მაინც ჩაირიცხოს. ანუ პასუხისმგებლობაც მე უნდა ავიღო, რომ პიანისტის ადგილას ჩავრიცხო, ფუღიც მე უნდა მივცე, ოღონდ მან გამოცდა არ ჩააბაროს,“ — განაცხადა მაია მიმინოშვილმა. მაია მიმინოშვილისთვის გაურკვეველია კანონის უკუგების ძალაც. კანონპროექტში არის ჩანაწერი, რომ სასწავლებლებში სწავლის უფლება შეუნარჩუნდებათ 2013 წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილე იმ პირებს, რომლებმაც ვერ გადალახეს ამა თუ იმ საგანში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და მათი განსაკუთრებული ნიჭის მიუხედავად, სწავლის უფლების გარეშე დარჩნენ.

„რას ნიშნავს, რომ ამ კანონს უკუგების ძალა აქვს? როდესაც ერთიანი ეროვნული გამოცდები შემოვიღეთ, წინა წლის აბიტურიენტებსაც შეეხოთ? ეს კანონპროექტი კონკრეტულ პიროვნებაზეა ფოკუსირებული. შესაძლოა, ერთ ან ორ ადამიანზე, რომელიც წელს ღებულობდა გამოცდებში მონაწილეობას და, სამწუხაროდ, არ გაუმართლა. კანონპროექტის დამწერს, წარმოდგენაც არ აქვს ამას რა მოჰყვება. კანონპროექტი გააზრებული არ არის და მორგებულია ერთ-ორ ადამიანზე,“ — განაცხადა მაია მიმინოშვილმა.

განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდები, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩაირიცხებიან, თუ მათ საერთაშორისო ოლიმპიადაში ან სახელოვნებო-შემოქმედებით კონკურსში უმაღლესი შეფასება აქვთ მიღებული.

ამასთან დაკავშირებით ცვლილებები „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში შედის, რომელიც განათლების და მეცნიერების საპარლამენტო კომიტეტმა მოამზადა. კანონპროექტის მიხედვით, მთავრობის მიერ დადგინდება სასწავლო გრანტით დაფინანსების წესი, რომელსაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო განსაზღვრავს. კანონს უკუძალა მიეცემა და სასწავლებლებში სწავლის უფლება შეუნარჩუნდებათ 2013 წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილე იმ პირებს, რომლებმაც ვერ გადალახეს ამა თუ იმ საგანში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და, მათი განსაკუთრებული ნიჭის მიუხედავად, სწავლის უფლების გარეშე დარჩნენ.

გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი განმარტავს, რომ საქართველოში რვა უმაღლესი სასწავლებელია, რომლებსაც საშემსრულებლო ფაკულტეტები აქვს, სადაც შემოქმედებითი ტურები ტარდება. მიმინოშვილის ინფორმაციით, აბიტურიენტები შემოქმედებით ტურს აბარებენ, ფინანსდებიან კულტურის სამინისტროს მხრიდან და მათ აქვთ შესაძლებლობა, რომ სახელმწიფო გრანტი განათლების სამინისტროდანაც მოიპოვონ. გამოცდების ცენტრის დირექტორის თქმით, ასეთი აბიტურიენტები ორი მხრიდან ფინანსდებიან, რაც უსამართლოა. მისივე მტკიცებით, ცენტრი მოითხოვდა, რომ ასეთი ტიპის აბიტურიენტები ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემიდან გასულიყვნენ, თუმცა, უმაღლესმა სასწავლებლებმა ეს ცვლილება არ მოინდომეს.

droanews.ge

მარტოხელა დედების სამსახურიდან გათავისუფლება კანონით შეიზღუდება

ძალადობისგან დაცვის ეროვნულ ქსელს, ფონდ ღია საზოგადოება საქართველოსა და USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტის „სისტემური ცვლილებების ხელშეწყობა მარტოხელა დედებისთვის, სოციალური და სამართლებრივი გარანტიების უზრუნველსაყოფად“ ფარგლებში, სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სახელმწიფო ორგანოებთან თანამშრომლობით, მომზადებული აქვს საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომელიც შეეხება „მარტოხელა დედის“ სამართლებრივი სტატუსის ასახვას საქართველოს კანონმდებლობაში, აგრეთვე მსგავსი კატეგორიის პირებისთვის სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიების შექმნას.

ცვლილებების დამტკიცების შემთხვევაში: „საქართველოს შრომის კოდექსში“ შევა შემდგომი ცვლილებები და დამატებები: მე-17 მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით აიკრძალება ორსული ან ახალნამშობიარები ქალის, მარტოხელა დედისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ზეგანაკვეთურ სამუშაოზე დასაქმება მისი თანხმობის გარეშე. ასევე კანონის მე-19 მუხლის თანახმად დასაქმებულ მარტოხელა დედას მისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა დამატებითი შესვენება დღეში არანაკლებ 1 საათისა. მარტოხელა დედისათვის მიცემული აღნიშნული შესვენება ითვლება სამუშაო დროში და ანაზღაურდება.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე შეიზღუდება მარტოხელა დედის სამსახურიდან განთავისუფლება ბავშვის 5 წლის ასაკამდე აღზრდის პერიოდში.

დარედაქტირდება და ცვლილებები შევა ასევე კანონთა შემდგომ ჯგუფში: კანონში „სოციალური დახმარებების შესახებ“, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში“ და „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში“.

საქსტატის მონაცემებით, 2000-2013 წლის ჩათვლით საქართველოში 3000 ბავშვია დაბადებული, რომელთა დაბადების მოწმობაში, მამის გრაფა ცარიელია. ამ მშრალი ციფრების მიღმა, საკუთარი მამებისაგან უარყოფილი ბავშვები და ასობით ქალია, რომელთაც განსაკუთრებული ზრუნვა და სამართლებრივი დაცვა სჭირდებათ.

ნატო გუბელაძე
psnews.ge

საჯარო სკოლებში 2013 წლის გამოსაშვები გამოცდების განრიგი

განათლების და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ სკოლის გამოსაშვები გამოცდების განრიგი დაამტკიცა. ბრძანების მიხედვით, მე-12 კლასელები პირველ გამოცდას 12 ოქტომბერს გეოგრაფიაში ჩააბარებენ. 13, 14, 15 ოქტომბერს გამოცდები ფიზიკაში, ბიოლოგიასა და ქიმიაში ჩატარდება. რაც შეეხება ქართულ ენასა და ლიტერატურას, უცხო ენას, მათემატიკას და ისტორიას, ამ საგნებში გამოცდები სასწავლო წლის ბოლოს ჩატარდება.

განათლების სამინისტროს ინფორმაციით, გამოცდები ცენტრალიზებულად, კომპიუტერზე ადაპტირებული ტესტირებით (CAT) ჩატარდება.

გამოცდების დაწყებამდე ყველა მოსწავლე საკუთარ სკოლაში მიიღებს საგამოცდო ბარათს, რომელზეც მითითებულია ოთხივე გამოცდაზე გამოცხადების თარიღი და დრო.

„მოსწავლე მითითებულ დღეს და საათზე უნდა გამოცხადდეს შესაბამის სკოლაში და გაიაროს რეგისტრაცია. მან თან უნდა იქონიოს საგამოცდო ბარათი, პირადობის მოწმობა და კალამი. დასაშვებია მხოლოდ პირადი ჰიგიენის ნივთებისა და პლასტმასის ბოთლით წყლის შეტანა,“ — განაცხადეს სამინისტროში.

გადადეს თუ არა გვერდზე ამერიკელებმა საქართველოს პრობლემები?

აშშ ბევრს არაფერს ამბობს, როდესაც რუსეთი საქართველოს საზღვრებს არღვევს — ამ სათაურით აქვეყნებს გავლენიანი ამერიკული გამოცემა Foreign Policy სტატიას, რომელიც რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთის საზღვრების გადმოწევას და ამ საკითხზე ამერიკის შეერთებული შტატების რეაქციას ეხმაურება. სტატიის თანახმად, აშშ-ს უჩვეულო ჩუმი რეაქცია სირიის საკითხზე რუსეთთან თანამშრომლობით არის გამოწვეული.

როგორც სტატიის ავტორი ჯონს ჰადსონი წერს, მას შემდეგ, რაც აშშ და რუსეთი შეთანხმდნენ სირიის ქიმიური იარაღის პროგრამაზე, მოსკოვმა სამი დღის შემდეგ პატარა, მაგრამ ისეთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა, როგორიც, ჩვეულებრივ, ვაშინგტონს განარისხებდა ხოლმე — რუსმა სამხედროებმა საქართველოს სეპარატისტული რეგიონის, სამხრეთ ოსეთისთვის პაწაწინა ტერიტორიების ანექსირება დაიწყეს.

„რუსეთი რომ ისევ არღვევს 2008 წლის სამშვიდობო ხელშეკრულებას საქართველოსთან, არ აკვირვებს რეგიონულ ექსპერტებსა და ამერიკელ კანონმდებლებს... მაგრამ ვაშინგტონი შედარებით ჩუმად ხვდება ამ დარღვევას. აშშ-ს, რომელიც, როგორც ამტკიცებენ, საქართველოს ყველაზე მტკიცე მხარდამჭერია დასავლეთში, არ გამოუცია არცერთი ოფიციალური განცხადება. ევროპის კავშირმა, პირიქით, საჯაროდ გამოთქვა პროტესტი „სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე ღობეებისა და სხვა ბარიერების აღმართვის" გამო," — წერია სტატიაში.

ეს ჩუმი რეაქცია „უჩვეულოა" — ამბობს Heritage Foundation-ის მთავარი მკვლევარი რუსეთისა და ევრაზიის საკითხებში არიელ კოენი — „მაგრამ ეს, ალბათ, უკავშირდება სწორედ ახლა მიმდინარე თანამშრომლობას აშშ-სა და რუსეთს შორის სირიის საკითხებში."

როგორც სტატიაშია აღნიშნული, ეს შედარებითი მდუმარება ზოგიერთ ქართველ ჩინოვნიკს აშფოთებს და ისინი შიშობენ, რომ მათ პრობლემებს გვერდზე გადადებენ, რადგან ამერიკისა და რუსეთის მთავრობა ცდილობს, ერთობლივი ძალისხმევით სირია ქიმიური იარაღისგან გაათავისუფლოს.

ცნობები იმის შესახებ, რომ რუსული ჯარი დიცის საზღვართან მავთულხლართებს ავლებს, სამშაბათს გამოჩნდა. სწორედ ამ დღეს ჟურნალისტების ჯგუფი ცდილობდა სამხრეთ ოსეთში გადასულიყო და მაშინ შენიშნეს, რომ ღობეებს მავთულხლართებს ახვევენ. ქართველებმა რუსულ ჯარს იმაში დასდეს ბრალი, რომ ისინი ცდილობენ ქართველთა მიერ კონტროლირებადი ტერიტორიის 500 კვ. მეტრის ანექსირებასა და ადგილობრივი მცხოვრებლების წინააღმდეგ ძალადობას სჩადიან.

ტერიტორია დიდი არ არის, რაღა თქმა უნდა, მაგრამ Heritage Foundation-ის მთავარი მკვლევარი კოენის თქმით, დარღვევა ისეთია, რომ სახელმწიფო დეპარტამენტის პასუხი გარანტირებულია. „ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი აშშ-ის საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი პრინციპია. ის ვერ აიტანს ქვეყნების მიერ სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე შეჭრას და საზღვრების ცალმხრივად დადგენას. გარდა ამისა, თუ ევროპული ქვეყნები პროტესტს გამოთქვამენ, ვაშინგტონმაც უნდა აუბას მხარი," — აცხადებს მკვლევარი.

როგორც სტატიაშია აღნიშნული, საქმე მხოლოდ საქართველოს როდი ეხება. გასულ კვირას სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი შეთანხმდნენ სირიასთან დაკავშირებული თანამშრომლობის ჩარჩოზე. ამ თანამშრომლობამ შეიძლება ათწლეული ან უფრო მეტი გასტანოს, თუ გავითვალისწინებთ იმ ლოგისტიკურ სირთულეებს, რომელიც ამ საქმეს თან სდევს.

ანალიტიკოსები მიესალმნენ რუსეთის შუამავლობით შეთავაზებულ შეთანხმებას. მათ მიაჩნიათ, რომ ეს პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის ეშმაკური მანევრია, რომლის მიზანია აიცილოს სამხედრო თავდასხმა და ხელი შეუშალოს აშშ-ს შეიარაღების კონტროლის ვერიფიკაციისა და განადგურების პროცესში. გარიგების მხარდამჭერების თქმით, ამერიკელი დიპლომატები ძალიან ჩქარობდნენ ასადის დასჯას ქიმიური იარაღის გამოყენებისთვის. ამ შესაძლებლობის გამოყენების შემდეგ აშშ აღარ ჩაერეოდა ამ არასასიამოვნო კონფლიქტში. რუსეთი კი განაგრძობს თავისი გავლენის განმტკიცებას ახლო აღმოსავლეთში და ყოფილ საბჭოთა სამეზობლოში. ზოგიერთები კონგრესში ამას უკვე ამჩნევენ.

სულ ახლახან, „აღმოსავლეთ პარტნიორობის" სამიტის წინ, რუსეთი ყოფილ საბჭოთა ქვეყნებს აიძულებდა უარი ეთქვათ ევროპის კავშირთან ასოცირებულ ხელშეკრულებაზე. გარდა ამისა, ის აიძულებდა უკრაინას, სომხეთსა და მოლდოვას, საბაჟო კავშირში გაერთიანებულიყვნენ, რის წინააღმდეგაც კონგრესის საგარეო საქმეთა კომიტეტის მაღალჩინოსანმა ელიოტ ენგლმა ისაუბრა.

„მე მოვითხოვ სახელმწიფო დეპარტამენტისგან, მტკიცედ გააპროტესტოს რუსეთის ბოლოდროინდელი მცდელობები, რომელთა მიზანია ხელი შეუშალოს უკრაინას, მოლდოვას, საქართველოს, სომხეთსა და სხვებს ევროპასთან პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირების განმტკიცებაში," — ნათქვამია ენგლის განცხადებაში.

სტატიაში აღნიშნულია, რომ მოვლენათა ასეთი განვითარება შემდეგ კითხვას აჩენს — რამდენად შეუძლია აშშ-ს, წარმატებით დაყოს სეგმენტებად დიპლომატიური პრობლემები რუსეთთან იმ დროს, როდესაც ის დამოკიდებულია მოსკოვზე, რომელიც უნდა დაეხმაროს მას და უარი ათქმევინოს ასადს ქიმიურ იარაღზე.

ცოტნე პაატაშვილი

MDF: „გენდერული თანასწორობა ადამიანის უფლებების სრულფასოვანი რეალიზაციის პირობაა"

„გენდერციდი" საქართველოში

მიმდინარე წლის 21 სექტემბერს მედიის განვითარების ფონდმა (MDF) სტუდენტებისა და ჟურნალისტებისთვის მედიაში გენდერული საკითხების გაშუქების თემაზე ტრენინგი გამართა. ტრეინინგზე, რომელიც MDF-ის ექსპერტებმა და სხვა ორგანიზაციებიდან მოწვეულმა სტუმრებმა UNESCO-ს მხარდაჭერით გამართეს, მოქმედ და მომავალ ჟურნალისტებს გენდერული თემატიკის გაშუქების ადგილობრივი და საერთაშორისო რეგულაციები გააცნეს. ყურადღება დაეთმო იუნესკოს მიერ შემუშავებული გენდერ-მგრძნობიარე ინდიკატორების: ისტორიულ ჭრილში ქალთა თემატიკის კვლევის; ფემინიზმის; ასევე გენდერული საკითხების საერთაშორისო ინსტრუმენტების თემატიკის გაცნობას. ტრენინგის მიზანს მედიაში გენდერული საკითხების გაშუქების საერთაშორისო და ადგილობრივი რეგულაციების გაცნობა და პრაქტიკაში გამოყენება წარმოადგენდა. ახალი ამბებისა და მიმდინარე მოვლენების მედია გაშუქებისას მნიშვნელოვანია საზოგადოებაში ქალებისა და მამაკაცების შემადგენლობის, ადამიანური გამოცდილების, ქმედების, თვალსაზრისებისა და წუხილების დაბალანსებული წარმოჩენა.

ტრენინგის ფარგლებში ნაჩვენები იყო ფილმი გასული საუკუნეების საქართველოში მოღვაწე ფემინისტი ქალების როლსა და მნიშვნელობაზე, ქვეყნის კულტურული თუ სხვა სფეროს განვითარებისათვის.

აღსანიშნავია, რომ UNESCO-ს მხარდაჭერით ხორციელდება პროექტი „ქალები წარსულიდან — მაგალითი მომავლისთვის". პროექტის მიზანია მე-19, მე-20 და 21-ე საუკუნეების მედიაში ქალთა თემატიკის კვლევა და პოპულარიზაცია.

ნესტან ჩაგელიშვილი

ერთ დროს დათრგუნული ტენდენცია, რომლის თანახმადაც ვაჟიშვილი მშობლებისთვის უფრო სასურველი იყო, ვიდრე გოგონა, უკან ბრუნდება.

ვაჟიშვილებს კავკასიაში უპირატესობას ანიჭებდნენ, მაგრამ ეს ტენდენცია ერთ დროს ითრგუნებოდა, ახლა კი შემაშფოთებლად იკიდებს ფეხს.

მიიჩნევდნენ, რომ მდედრობითი სქესის ნაყოფის მოცილების პრაქტიკა, ძირითადად, ჩინეთსა და აზიის სხვა ქვეყნებშია გავრცელებული. მაგრამ ეს ტენდენცია კავკასიაშიც პრევალირებს. ორი ახალი კვლევა ამის მიზეზს ეძიებს და ვარაუდობს, რომ ამგვარი პრაქტიკა შეიძლება კიდევ უფრო გავრცელდეს.

თუ ბუნებრივ პროცესებში არ ერევიან, ყოველ 100 გოგონაზე 105 ბიჭი ჩნდება. ბიჭები უფრო მგრძნობიარენი არიან საბავშვო დაავადებებისადმი, ამიტომ პატარა დისბალანსი დაბადებისას, პუბერტატულ ასაკში მათ ტოლ რაოდენობას უზრუნველყოფს. მაგრამ სომხეთსა და აზერბაიჯანში ყოველ 100 გოგონაზე 115 ბიჭი ჩნდება, ხოლო საქართველოში — 120. აქ უფრო დიდი დისპროპორციაა, ვიდრე ჩინეთში. სამივე ქვეყანაში მაჩვენებლებმა მკვეთრად იმატა 1991 წლის შემდეგ. 2010 წელს, ასკვნის მარკ მაიკლი, ნიუ-იორკის უნივერსიტეტიდან, დაბადებული გოგონების რაოდენობა 10 პროცენტით ჩამორჩებოდა მაჩვენებელს, რომელიც ნორმალურ პროპორციას უზრუნველყოფდა. უფრო დიდი დისბალანსი მხოლოდ ჩინეთშია.

სქესობრივი ბალანსი კავკასიაში განსაკუთრებით მაშინ ირღვევა, როდესაც მეორე ან მესამე ბავშვი იბადება. სომხეთში ყოველ პირველ 100 ქალიშვილზე 138 ბიჭი იბადება. თუ პირველი შვილი ბიჭია, უფრო სავარაუდოა, რომ მეორე გოგონა იქნება (ანუ შეიცვლება სქესის სელექცია). მაგრამ თუ პირველი შვილი გოგონაა, მაშინ ვაჟი ბევრად უფრო სასურველი ხდება. როდესაც პირველი შვილი გოგონაა, მეორე ბავშვი შემთხვევათა 61 პროცენტში — ბიჭია. სომხური ოჯახები, როგორც ჩანს, გეგმავენ არა მხოლოდ ოჯახის წევრების რაოდენობას, არამედ მის შემადგენლობასაც.

ისევე როგორც ყველგან, ულტრაბგერითი გამოკვლევისა და, შესაბამისად, ნაყოფის სქესის დადგენის სიიაფე მნიშვნელოვნად ცვლის ვითარებას. საბჭოთა კავშირის დაშლამდე ასეთი აპარატურა იშვიათად მოიპოვებოდა, რადგან ნაწილს სამხედრო მიზნებისთვის იყენებდნენ, ხოლო დასავლეთიდან მათი შემოტანა აკრძალული იყო. როგორც კი 1991 წლის შემდეგ ასეთი აპარატურა გავრცელდა, სელექციური აბორტების რაოდენობაც გაიზარდა. თუმცა, ეს აპარატურა უფრო ბევრია უკრაინასა და სხვა მეზობელ ქვეყნებში, მაგრამ აქ სქესობრივი წონასწორობა სტაბილურია. მაჩვენებლები გაიზარდა ჩრდილო ოსეთში, რომელიც რუსეთის შემადგენლობაშია და კავკასიაში მდებარეობს და თურქეთის ნაწილში, მაგრამ მხოლოდ 107-მდე.

რით არის განპირობებული კავკასიის პრეცედენტი? ავტორები ვარაუდობენ, რომ პასუხი შეიძლება პოლიტიკაში ვეძიოთ: ვაჟები ასე ძალიან იმიტომ ურჩევნიათ, რომ სამივე ქვეყანას აქვს „გაყინული კონფლიქტები", რომლებსაც შეუძლიათ ისე შეამცირონ გოგონების ფასი, რომ ოჯახის დაგეგმვა ვაჟების სურვილმა განაპირობოს." თუ ეს ასეა, ეს დიდი ცვლილება მნიშვნელოვანი იქნება. საბჭოთა კავშირი 70-იანებში თავს იწონებდა იმით, რომ იქ ქალებს ისეთი უფლებები ჰქონდათ, როგორიც არსად სხვაგან. გარდა ამისა, საბჭოთა კავშირი არ უშვებდა ქალების დისკრიმინაციას რელიგიური ნიშნით. ვაჟების ამჟამინდელი პრეფერენცია კავკასიაში იმის დასტურია, რომ ტრადიციული ფასეულობები უკან ბრუნდება.

მეორე მხრივ, კავკასია შეიძლება არც წარმოადგენდეს გამონაკლისს. ნიუ-იორკული ორგანიზაციის, პოპულაციის საბჭოს, თანამშრომელმა ჯონ ბონგაარტმა 61 ქვეყანაში ჩაატარა კვლევა, რათა დაედგინა, როგორი იქნებოდა სქესობრივი პროპორცია იმ შემთხვევაში, თუ მშობლებს ვაჟიშვილებისა და გოგონების სასურველი რაოდენობა ეყოლებოდათ. აღმოჩნდა, რომ ქვეყნების ნახევარში სასურველი პროპორცია 110-ზე მეტია (უფრო მაღალი, ვიდრე ინდოეთში, სადაც ეს მაჩვენებელი 108-ს შეადგენს). სომხეთი და აზერბაიჯანი იმ ქვეყნებს შორისაა, რომელთაც ყველაზე მაღალი მაჩვენებლები აქვთ, მაგრამ მთელ მსოფლიოში და, განსაკუთრებით, აფრიკაში მშობლები ამბობენ, რომ მათთვის უფრო სასურველია ვაჟიშვილი ჰყავდეთ მეტი, ვიდრე გოგონა. როგორც ბონგაარტი ამბობს, „არსებობს დიდი, ფარული მოთხოვნა სელექციურ აბორტებზე". თუ კავკასია მაგალითია, მაშინ ეს მოთხოვნა საკმაოდ ადვილად შესრულდება.

The Economist

ათწლიანი დავა ამორტიზებული შენობისთვის

„P.S. ფოტო“ ©

ქუთაისელი ფოტოგრაფი ლია ჯოჯუა წმინდა ნინოს ქ. №23-ში მდებარე ყოფილი ფოტოატელიეს შენობის დაბრუნებას ითხოვს. მისი თქმით, 10 წლის წინ ატელიეს შენობა მას შპს „მერკურის“ დირექტორმა, ბესო სურმავამ, მოტყუებით წაართვა. 10 წლის წინანდელი დავის განახლებას ლია ჯოჯუა სასამართლოში გეგმავს.

წმინდა ნინოს ქ. №23-ში მდებარე ორსართულიანი შენობის პირველი სართული უკვე ათი წელია, დავის ობიექტია. მოქალაქე ლია ჯოჯუა შპს „მერკურის“ დირექტორისგან იმ ფართის დაბრუნებას ითხოვს, რომელიც, მისივე თქმით, მისმა მეუღლემ 1987 წელს ააშენა. მიუხედავად იმისა, რომ შენობა დიდი ხანია, ამორტიზებული და უფუნქციოა, ჯოჯუა მის დათმობას არ აპირებს.

„26 წლის წინ ჩემმა მეუღლემ, ჯუმბერ ჭრელაშვილმა, საკუთარი სახსრებით ააშენა ეს ატელიე. 8 წელი ვმუშაობდით ერთად და არავინ შეგვდავებია არაფერში. 2003 წელს კი, ჩემი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, შპს „მერკურის“ დირექტორი ბესო სურმავა მოვიდა და ჩაატარა ინვენტარიზაცია. ამის უფლებას მას მაშინ საყოველთაოდ გამოცხადებული პრივატიზაცია აძლევდა. აღრიცხული ნივთები, რომელიც ჩემს მეუღლეს ეკუთვნოდა, ხელწერილის საფუძველზე გადმომცა. მალევე, 500 დოლარი გამომიგზავნა. მე ჩავთვალე, რომ ეს თანხა იყო მისი მხრიდან გამოჩენილი ყურადღება დაქვრივებული ქალის მისამართით, თუმცა, როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, ამის სანაცვლოდ ფოტოატელიეს შენობა მიითვისა. როგორ შეიძლებოდა 500 დოლარის სანაცვლოდ დამეთმო ეს შენობა, რომელიც ბევრად უფრო ძვირად იყო შეფასებული იმ დროს? ახლა, როცა ჩემს კუთვნილ ქონებას ვითხოვ, მთავარ არგუმენტად სწორედ იმ ხელწერილს იყენებს, რომლითაც დამათმობია ატელიე. ყველგან გავიარე კონსულტაცია, მაგრამ მას ჯერ კიდევ შევარდნაძის დროინდელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ჰქონდა კავშირები და ვერაფერს მივაღწიე. გადაწყვეტილი მაქვს, სასამართლოში ვუჩივლო და ჩემი ქონება დავიბრუნო, რომელიც ფარატინა ხელწერილის საფუძველზე დამათმობინა,“ — ამბობს **ლია ჯოჯუა.**

ხელწერილში კი, რომელიც მთავარ დოკუმენტად იქცა, გარდა ლია ჯოჯუას მიერ ინვენტარის ჩაბარებისა, წერია, რომ ჯოჯუას შპს „მერკურის“ დირექტორის მისამართით არანაირი პრეტენზია არ გააჩნია. მართალია, დოკუმენტი არც ბეჭდით და არც ნოტარიულად არის დამოწმებული, მაგრამ, ბრალდების ადრესატები ამბობენ, რომ ხელწერილის მიხედვით, ლია ჯოჯუა საკუთარი ხელმოწერით ადასტურებს, რომ ბესო სურმავას მისამართით პრეტენზიები არ გააჩნდა. ახლა კი მისი მოთხოვნები მათთვის გაუგებარია.

შპს „მერკურის“ კადრების უფროსი ინსპექტორი და საქმეთა მმართველი დალი ქობულაძე კი ჩვენთან საუბარში ამბობს, რომ ლია ჯოჯუას ფოტოსტუდიის ფართი არც არასდროს ეკუთვნოდა და, შესაბამისად, ბესო სურმავა მას ვერაფერს წაართმევდა. მისი თქმით, ჯოჯუა ფოტოატელიეს შენობაში იჯარით იმყოფებოდა, ისევე, როგორც ქალაქში არსებული საყოფაცხოვრებო ობიექტების ყველა დროებითი მფლობელი. მას შემდეგ კი, რაც ჯოჯუამ ვერ შეძლო საიჯარო თანხის გადახდა, მას ფართი დაატოვებინეს.

„იჯარით გათვალისწინებული თანხის გადახდასთან დაკავშირებით მას პრობლემები ჯერ კიდევ მაშინ ჰქონდა, როცა ის ფართი, სადაც ფოტოატელიე ჰქონდა გახსნილი, ადგილობრივი ხელისუფლების ადმინისტრირების ქვეშ იყო მოქცეული. მას შემდეგ კი, რაც „მერკური“ საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს დაქვემდებარებას გამოეყო და კერძო ორგანიზაციად ჩამოყალიბდა, ლია ჯოჯუას იჯარის თანხამ სოლიდური ციფრი შეადგინა და შპს-ს ხელმძღვანელობა იძულებული გახდა, მისთვის ფართის დათმობა მოეთხოვა. რა საკუთრებაზეა საუბარი, მას ამ შენობის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტიც კი არ აქვს,“ — ამბობს **დალი ქობულაძე**.

რაც შეეხება ფოტოატელიეს შენობას, ქობულაძის განცხადებით, სურმავამ იგი შპს „მერკურის“ დაარსებისთანავე შეისყიდა და ახლა კერძო საკუთრებას წარმოადგენს.

აქვს თუ არა წმინდა ნინოს ქ. №23-ში მდებარე ყოფილი ფოტოატელიეს შენობის ნასყიდობის ხელშეკრულება და ვისგან შეიძინა აღნიშნული ფართი სურმავამ? „მერკურის“ წარმომადგენლები შეკითხვებზე პასუხისგან თავს იკავებენ. მათი თქმით, ისინი დეტალებში ვერ ერკვევიან. თავად სურმავასთან დაკავშირება კი ვერ მოხერხდა, რადგან იგი ადგილზე არ აღმოჩნდა და არც სატელეფონო ზარს პასუხობს. „მერკურის“ წარმომადგენლები კი აცხადებენ, რომ იგი ამჟამად ქალაქში არ არის, თუმცა, დაუდასტურებელი ინფორმაციით 27 სექტემბერის დილას (საგაზეთო მასალის მომზადების დღე) სურმავა საკუთარ ოფისში იმყოფებოდა.

ლია ჯოჯუა სურმავას წინააღმდეგ სასამართლოში საჩივარს უახლოეს დღეებში შეიტანს. მისი თქმით, შესაბამისი კონსულტაციები მან იურისტებთან უკვე გაიარა.

მარიამ პატარაია

„წინასაარჩევნო გარემო არის უფრო ღია, ვიდრე ერთი წლის წინ“

საპრეზიდენტო არჩევნებამდე ერთი თვით ადრე, წინასაარჩევნო გარემოს შეფასების მიზნით, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის (PACE) დელეგაცია იმყოფებოდა. დელეგაციის ხელმძღვანელმა 25 სექტემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე წინასაარჩევნო გარემო მოკლედ ერთი ფრაზით შეაფასა — დღეს წინასაარჩევნო გარემო არის უფრო ღია და უფრო კეთილგანწყობილი, ვიდრე ერთი წლის წინ.

„ამ ორი დღის განმავლობაში საკმაოდ ინტენსიურად ვიმუშავეთ, გვქონდა ძალიან ბევრი შეხვედრა, მათ შორის — პრემიერ მინისტრთან, ძირითად საპრეზიდენტო კანდიდატებთან, პარლამენტის სპიკერთან, საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესთან, უშიშროების საბჭოს მდივანთან, იუსტიციის მინისტრთან, არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან,“ — განაცხადა წინასაარჩევნო დელეგაციის ხელმძღვანელმა **მარიჩელ მატეუ პიმ**. დელეგაციაში სხვადასხვა ევროპული პარტიების წარმომადგენლები შედიოდნენ.

დელეგაციის ხელმძვანელმა შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რომ ამჟამად შექმნილია უფრო ღია, კონკურენტული და პლურალისტური საარჩევნო გარემო და საქართველოს აქვს შესაძლებლობა, ჩაატაროს ისეთი საპრეზიდენტო არჩევნები, რომლის მიმართაც მოქალაქეებს ექნებათ ნდობა და რომელიც დააკმაყოფილებს ევროპის საბჭოს სტანდარტებს.

„საარჩევნო კამპანიისას უნდა გამოირიცხოს პოლიტიკურად მოტივირებული ძალადობა ოპოზიციის მხარდამჭერთა მიმართ და მათი დაშინება, ყოველგვარი ზეწოლა არჩეულ და დანიშნულ თანამდებობის პირებზე, რათა მათ ვადამდე დატოვონ დაკავებული თანამდებობები, აგრეთვე საარჩევნო პროცესში ნებისმიერი გაუმართლებელი ჩარევა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან. შესაბამისმა უწყებებმა უნდა გამოიძიონ საარჩევნო კამპანიისას გამოვლენილი ყველა სავარაუდო დარღვევა. უნდა გატარდეს მკაცრი და თანაზომიერი სანქციები,“ — ნათქვამია დელეგაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

როგორც მარიჩელ მატეუ პიმ აღნიშნა, დელეგაციამ შეხვედრების განმავლობაში მიიღო ინფორმაცია უმცირესობათა მიმართ არაშემწყნარებლური დამოკიდებულების შემთხვევების შესახებ.

„აქ არ არის გადამოწმებულ ფაქტებზე საუბარი, უბრალოდ, მინდა ვთქვა, რომ შეხვედრების დროს საპრეზიდენტო კანდიდატებმა აღნიშნეს და გააკეთეს განცხადებები იმის თაობაზე, რომ ამგვარ შემთხვევებს აქვს ადგილი და ჩვენ ვთქვით, რომ ყოველგვარი ასეთი ძალადობა საპრეზიდენტო კანდიდატების მხარდამჭერი აქციების დროს დაუშვეებლია და უნდა გამოირიცხოს,“ — განაცხადა დელეგაციის ხელმძღვანელმა მარიჩელ მატეუ პიმ.

წინასაარჩევნო დელეგაციასთან შეხვედრის შემდეგ გაკეთებული შეფასებები...

„დარწმუნებული ვარ, ისინი ხედავენ იმ ძალიან დიდ განსხვავებას, რომელიც შარშანდელ და ამჟამინდელ არჩევნებს შორის არის. მათ აინტერესებთ რეგისტრაციიდან მოხსნილი პირების საკითხი და თვითონ საარჩევნო სიის თემა, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია. წელს საარჩევნო გარემოს კუთხით საკრიტიკო დიდი არაფერია, რაც ქვეყნისთვის პროგრესია. ჩვენ ამაზე ყურადღება არ უნდა მოვადუნოთ იმისათვის, რომ მომავალი წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები კიდევ უფრო კარგ გარემოში და დემოკრატიულ ვითარებაში ჩატარდეს,“ — განაცხადა იუსტიციის მინისტრმა **თეა წულუკიანმა** დელეგაციასთან შეხვედრის შემდეგ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსმა თამარ ტალიაშვილმა კი სტუმრებს სამინისტროში განხორციელებული რეფორმები და ღონისძიებები გააცნო. შეხვედრაზე არჩევნების პერიოდში ადამიანის უფლებების დაცვის, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის საკითხებზე ისაუბრეს.

სტუმრები მინისტრის მიერ ბრძანებით დამტკიცებული „არჩევნების პერიოდში უწყების მოსამსახურეთა სახელმძღვანელო ინსტრუქციას“ გაეცნენ, რომელიც არჩევნების პერიოდში პოლიციელთა უფლებამოვალეობებს, კანონით დადგენილ აკრძალვებსა და შეზღუდვებს განსაზღვრავს.

„ჩვენ ვისაუბრეთ საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის შესახებ და კიდევ ერთხელ ხაზი გავუსვი, რომ ჩვენ ამ არჩევნებს 2012 წლისას არ ვადარებთ, იმიტომ, რომ ჩვენ სააკაშვილის სისტემას და რეჟიმს თვისობრივად არ ვედრებით, ჩვენ ვედრებით ევროპას და გვინდა, რომ ამ არჩევნებს ევროპის სტანდარტებით შეხედონ. ის, რაც ჩასასწორებელია, რაც ანგარიშგასაწევია, ამაზე სწორედ რომ ყველაზე მაღალი ევროპული სტანდარტებით ვიმსჯელოთ,“ — განაცხადა მმართველი კოალიციის „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატმა **გიორგი მარგველაშვილმა.**

„იმედი მაქვს, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა ისევე აქტიურად იქნება ამ არჩევნების მონიტორინგში ჩართული, როგორც ამას ყოველთვის აკეთებდა. დღეს დეტალურად ვისაუბრეთ თუ რა მდგომარეობაა, როგორია საარჩევნო გარემო. ვისაუბრეთ იმ პრობლემებზე, რომელიც არსებობს. ჩვენი კოლეგები ევროსაბჭოდან განსაკუთრებით შეშფოთებულნი არიან იმ ძალადობის შემთხვევით, რომელსაც ადგილი აქვს კამპანიის პერიოდში. იმედი მაქვს, ხელისუფლება მათ შეშფოთებებს ადექვატურად მიუდგება და იმედი მაქვს, ისეთი არჩევნების ჩატარებას მოვახერხებთ, რომელიც ქვეყანას გამოადგება. ჩემი, როგორც ოპოზიციის ლიდერის და პრეზიდენტობის კანდიდატის მთავარი ამოცანაა, ისეთი არჩევნები ჩატარდეს, რომ ამით ქვეყანამ და ხალხმა მოიგოს და საქართველოს წინსვლა გაგრძელდეს,“ — განაცხადა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატმა **დავით ბაქრაძემ.**

„ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციასთან საუბარი იყო საარჩევნო გარემოზე, იმაზე რომ რეალურად საარჩევნო გარემო შიშისგან უფრო თავისუფალია, ვიდრე ეს ერთი წლის წინ იყო, თუმცა სამართლიანობა საბოლოოდ ნამდვილად არ აღმდგარა. თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ საპრეზიდენტო კანდიდატებს საარჩევნო გარემოს თვალსაზრისით თანაბარი პირობები არ აქვთ. მე ვარ დისკრიმინაციულ მდგომარეობაში ჩაყენებული, როდესაც „ქართული ოცნების“ და „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატებს ბევრი პრივილეგია აქვთ, მათ შორის თავისუფალი საეთერო და სარეკლამო დრო, მე კი ამის უფლება და საშუალება არ მაქვს,“ — განაცხადა „დემოკრატიული მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატმა **ნინო ბურჯანაძემ.** მისივე თქმით, მან დელეგაციასთან სამართლიანობის აღდგენის აუცილებლობაზე ისაუბრა.

„ვლაპარაკობთ სამართლიანობის აღდგენაზე და არა რევანშზე ან პოლიტიკურ ანგარიშსწორებაზე, ევროპელებს კარგად ესმით, რომ სამართლიანობის აღდგენა ქვეყნის ნორმალური განვითარებისა და ეკონომიკური წინსვლისთვის მნიშვნელოვანია. მათ გაიკვირვეს როდესაც ვუთხარი, რა აბსოლუტურად არადემოკრატიული ფორმულირებაა მოძებნილი იმისთვის, რომ მე თავისუფალი საეთერო დრო არ მქონდეს. იმედი მაქვს, მათი მხრიდან ეს საკითხი ხაზგასმული იქნება,“ – განაცხადა ბურჯანაძემ.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სადამკვირვებლო მისია საქართველოში კვლავ ჩამოვა არჩევნების დღეს — 27 ოქტომბერს, ოღონდ სრული შემადგენლობით. დელეგაცია 32 წევრისგან იქნება დაკომპლექტებული და ის საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნების მიმდინარეობას დააკვირდება.

ცოტნე პაატაშვილი

სტუდენტები რთველში

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, აგრარული უნივერსიტეტის 60-მა სტუდენტმა კახეთში რთველის პროცესში მიიღო მონაწილეობა. სტუდენტებს მეგზურობა სოფლის მეურნეობის მინისტრმა შალვა ფიფიამ გაუწია. ისინი საგარეჯოს რაიონის სოფელ ბადიაურში მცხოვრებ გოჩა აბესაძეს ყურძნის დაკრეფაში დაეხმარნენ. რაც შეეხება უშუალოდ ღვინის წარმოების პროცესს, სტუდენტებს ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა ლევან დავითაშვილმა ახმეტაში მდებარე ღვინის კომპანია „ბადაგონის" მაგალითზე უჩვენა.

„რთველი 2013"-ის დასრულებამდე რამდენიმე კვირა დარჩა. ჩვენთან საუბრისას მიმდინარე პროცესი **სოფლის მეურნეობის მინისტრმა შალვა ფიფიამ** შეაფასა. მისი განცხადებით, სამინისტრო ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ 2013 წლის შემოდგომა შემოსავლიანი იყოს როგორც კახელი გლეხისთვის, ისე მეწარმისათვის.

შალვა ფიფიამ აქცენტები იმ საკითხებზე გაამახვილა, რაც „რთველი 2013"-ს გასული წლების ამ სეზონისგან განასხვავებს. მან მეწარმის დასახმარებლად ამოქმედებულ „შეღავათიან აგროკრედიტის პროექტზე" და სუბსიდიის შეცვლილ მექანიზმზე ისაუბრა. კახეთის ყველა რაიონში აქტიურად მიმდინარეობს რთველი. წელს პრინციპულად შეიცვალა მიდგომები. რამდენიმე ძირითადი განსხვავებაა: ერთი ის, რომ შევქმენით სპეციალური საკრედიტო პროდუქტი ღვინის კომპანიებისთვის — ყურძნის საყიდლად შეღავათიანი კრედიტი ხელმისაწვდომი გახდა. ასევე შეიცვალა სუბსიდირების სქემა. წელს სუბსიდია პირდაპირი წესით და არა ვაუჩერების გზით ხდება — რქაწითელზე, საფერავსა და მწვანე კახურზე.

სტუდენტები რთველის პროცესით კმაყოფილებას ვერ მალავდნენ. ზოგიერთი მათგანი რთველში პირველად იღებდა მონაწილეობას და პროცესი ძალიან საინტერესო აღმოჩნდა მათთვის.

ელისაბედ ცისკარიშვილი, აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტი: *„ჩვენი ლექტორის, თეო ურუშაძის ხელმძღვანელობით წამოგვიყვანეს რთველში. ძალიან საინტერესოა, პირველად ვარ რთველში და კარგი შთაბეჭდილებები დამრჩა. ეს ძალიან დამეხმარება მომავალ საქმიანობაში, რადგან მეღვინემ ყურძენი და რთველი უნდა იცოდეს. კარგია, რომ ამის ადგილზე ნახვის საშუალება მოგვცა".*

თორნიკე ტაბუნაშვილი, აგრონომიული ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი: *„ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, გავეცნობით უფრო კარგად ჩვენს სფეროს და წაგვადგება შემდეგ ჩვენს საქმიანობაში. თვითონ კახელი ვარ, სიღნაღის რაიონიდან და ეს სფერო უცხო არ არის ჩემთვის. ჩვენთან, ძირითადად, რქაწითელი და საფერავი მოდის. სიღნაღში თითქმის დასრულდა რთველი. პრობლემა არ ყოფილა ყურძნის ჩაბარებასთან დაკავშირებით. ქარხნები ყველგან იბარებდნენ. ტრანსპორტირების ფულს თვითონ იხდიდნენ კომპანიები".*

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სრული პროფესორი **თეო ურუშაძე,** რომელმაც ორგანიზება გაუკეთა სტუდენტთა რთველში წამოსვლის პროცესს, აცხადებს, რომ მსგავსი პრაქტიკა ახალგაზრდებს საკუთარ საქმიანობაში ძალიან დაეხმარებათ: *„სტუდენტების რთველში წამოყვანის ინიციატივა თავად სოფლის მეურნეობის სამინისტროსგან წამოვიდა. ესენი არიან მეორე-მესამე კურსის აგრონომიის და მევენახეობის მიმართულების სტუდენტები. მსგავსი შემთხვევა ჯერ არ ყოფილა. წელს პირველად შემოგვთავაზა სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სტუდენტების რთველში წამოყვანა, რაც ძალიან კარგია."*

სოფელ ბადიაურის მცხოვრები **გოჩა აბესაძე,** რომელსაც დაეხმარნენ სტუდენტები ყურძნის დაკრეფაში, აცხადებს, რომ წელს განსაკუთრებული მოსავალია როგორც ხარისხით, ასევე რაოდენობით: *„წელს უკვე ფასი დაიდო ყურძენმა და ვნახოთ, მომავალში რა იქნება. ალბათ, კიდევ უფრო გაიზრდება ფასი. დაბლა თუ წამოვიდა, ჩათვალეთ, რომ ვენახი აღარ იქნება კახეთში. ჩემი ყურძნის ჩაბარება დამოკიდებულია ქარხანაზე. თუ მიიღო ქარხანამ დღესვე ჩავაბარებ. საგარეჯოში რთველი გვიან იწყება და ქარხნებიც ნელნელა იწყებენ გახსნას. წლევანდელი მოსავალი ხარისხიანია. შაქრიანობა — მაღალი. ფასსაც კარგს გვიხდიან, მუშაობად ღირდა. რაც შეეხება სტუდენტების აქ ყოფნას, მათ ჩამოსვლას მივესალმები. მართალია პატარა ხნით, მაგრამ მაინც იღებენ შრომაში მონაწილეობას. მათ შრომაც უნდა იცოდნენ და სწავლაც".*

ღვინის კომპანია „ბადაგონი" ყურძნის გადამუშავებისთვის თანამედროვე ტექნოლოგიებს იყენებს. სწორედ ეს კომპანია დაათვალიერებინა ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა ლევან დავითაშვილმა სტუდენტებს და ახლოს აჩვენა ყურძნის მიღება-გადამუშავების პროცესი.

ლევან დავითაშვილის განცხადებით, ღვინის ეროვნულ კომპანიას სტუდენტების წახალისების თვალსაზრისით საინტერესო ინიციატივები აქვს: *„აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტების ნაწილი მევენახეობაზე სწავლობს. უნივერსიტეტმა ახლიდან აღადგინა მევენახეობა-მეღვინეობა, როგორც ცალკე სპეციალობა. ჩვენ ამას მივესალმებით და მაქსიმალურად ვეცდებით, ხელი შევუწყოთ ახალგაზრდებს, იმიტომ რომ ადეკვატური კადრების გარეშე ინდუსტრიის წარმატება წარმოუდგენელია. სააგენტო აუცილებლად დაეხმარება მოწინავე სტუდენტებს პრაქტიკები გაიარონ ღვინის საწარმოებში, ასევე მევენახეებს — ვენახებში. ჩვენ შეგვიძლია გაცვლითი პროგრამებით ყველაზე წარმატებული სტუდენტების საზღვარგარეთ სწავლების ხელშეწყობა".*

რაც შეეხება უშუალოდ რთველის პროცესს, დავითაშვილის განცხადებით, უკვე დასასრულისკენ მიდის: *„80 კომპანიაა რთველში ოფიციალურად ჩართული, რომლებსაც რეგისტრაცია აქვთ გავლილი და იბარებენ ყურძენს. 12 სექტემბერს იყო პიკი, დაახლოებით, 4600 ტონა ყურძენი გადამუშავდა დღე-ღამეში. ცოტა იკლებს ტემპი, სადღაც 3600 ტონა იყო გუშინდელი მონაცემები (24 სექტემბერი). ახლა უკვე დასასრულისკენ წავალთ."*

ამ ეტაპზე რთველი ყველაზე აქტიური საგარეჯოს და ახმეტის რაიონებშია. კომპანია „ბადაგონის" წარმომადგენლის **რამაზ აივაზაშვილის** თქმით, საგარეჯოში მოსულ ყურძენში ყველაზე მეტი ფასი გადაიხადეს, რადგან ხარისხიც მაღალი იყო: *„ჩვენი საწარმო ახმეტაში მდებარეობს, მაგრამ არა მარტო ახმეტიდან, არამედ სხვა, წინანდალი, ვაზისუბანი, ქინძმარაულის, მუკუზნის, მანავის ზონებიდანაც ვიბარებთ ყურძენს. გვაქვს ჩვენი ვენახებიც. ყურძენი საუკეთესოა ახმეტის რაიონში. დღესდღეობით მარტო რქაწითელი და მწვანეა დარჩენილი და ახლო რაიონებიდან ვიბარებთ. სახელმწიფო პროგრამებით ყურძნის გადამუშავება გავზარდეთ. შარშან თუ მივიღეთ 1800 ტონა, წელს ვამუშავებთ 4500 ტონას. საფერავის ჩაბარება დავიწყეთ ლარი და 10 თეთრიდან. ზონებიდან ლარი და 20 თეთრიდან, ახლა უკვე ავიდა ლარსა და 80 თეთრზე. რქაწითელი ლარია. დღესდღეობით საუკეთესო შედეგი აქვს საგარეჯოს რაიონს, იმიტომ რომ ყველაზე ძვირად მათი ყურძენი ჩავიბარეთ, 1 ლარად და 80 თეთრად."*

კომპანია „ბადაგონში" ჩააბარა ყურძენი ახმეტის რაიონის ზემო ხოდაშენის მცხოვრებმა **მერაბ ელდიაშვილმა:** *„ლარად ჩავაბარე რქაწითელი. წინა წელს არ ვაბარებდი, თუმცა წელს კმაყოფილი ვარ ფასით. არაფერი პრობლემა არ შემქმნია. მოვედი, 10 წუთი ვიდექი, შიგნიდან მანქანა გამოვიდა და შევედი ქარხანაში ყურძნის ჩასაბარებლად. ყველაფერმა კარგად ჩაიარა".*

შალვა ფიფია რთველზე

ლევან დავითაშვილი სტუდენტებთან

რთველთან დაკავშირებით გამოწვეულ რიგებსა და პატარ-პატარა შეფერხებებზე სოფლის მეურნეობის პრესსამსახური განმარტავს, რომ რთველის მიზანია, თანაბარ პირობებში იყოს ჩაყენებული, როგორც გლეხი, ასევე მეწარმე. ღვინის ქარხნის მეპატრონე, რომელსაც უნდა რომ ხარისხიანი ყურძენი ჩაიბაროს, ასევე იღებს სამინისტროსგან გვერდში დგომას: *„ჩვენ არ გვინდა, რომ შარშანდელი მანკიერი გამოცდილება იქნას გაზიარებული და დაუმწიფებელი ყურძენი მოიტანოს გლეხმა. ეს იმიტომ ხდებოდა, რომ რთველის ვადები არ იყო ზუსტად გამოცხადებული. ახლა ადგილობრივი რწმუნებულები, ჩვენი რაიონული ორგანიზაციის წარმომადგენლები აფრთხილებენ მევენახეებს ამ ვადების შესახებ. მონიტორინგის ჯგუფები მუშაობენ 24-საათიან რეჟიმში. ამოწმებენ, კონდიციამდე თუ არის ყურძენი მისული. შაქრიანობა 21-23%-ის ფარგლებში უნდა იყოს, რომ ჩაიბარონ ქარხნებმა. ვრცელდება დეზინფორმაცია, რომ სეტყვაა მოსალოდნელი, უცებ რომ დაკრიფოს ხალხმა ყურძენი. შემდეგ ყველა აწყდება საწარმოებს და, შესაბამისად, რიგებიც აქედან არის განპირობებული. უხვია მოსავალი და ესეც იწვევს რიგებს. ჩვენ გლეხებს რეკომენდაციებს ვაძლევთ, როცა რიგებია, ან დაუმწიფებელია, ჯერ არ დაკრიფონ ყურძენი. არის შემთხვევები რეკომენდაციებს არ ემორჩილებიან. ადრე ყურძნის ხარისხის შემოწმებაც არ ხდებოდა, ესეც იწვევს გლეხის დაყოვნებას ქარხანასთან,"* — აცხადებენ სოფლის მეურნეობის სამინისტროში.

სამინისტროს მონაცემებით, ყურძნის 80% უკვე გადამუშავებულია. თუ შარშან ყურძნის ჩაბარების 65% სახელმწიფო ქარხნებზე მოდიოდა, წელს უკვე ეს წილი 10%-ზეა დასული და ყურძნის ჩაბარების პროცესში კერძო კომპანიები აქტიურობენ.

რაც შეეხება სხვა სახის პრობლემებს, თუ მევენახეს უარს ეუბნებიან ყურძნის ჩაბარებაზე, ასეთ შემთხვევაში სამინისტრო მათ რთველის საკოორდინაციო შტაბის ცხელ ხაზზე დარეკვას ურჩევს, რომელიც 24 საათის განმავლობაში მუშაობს.

„არის შემთხვევები, როდესაც საწარმოს ფინანსური რესურსი ეწურება. ასეთ დროს სხვა ქარხნებში ვამისამართებთ ყურძენს. რაც შეეხება ცნობების გაცემას, ესეც რთველის ორგანიზებულად ჩატარებისთვისაა, ყველამ ერთდროულად რომ არ დაკრიფოს და არ მიაწყდნენ საწარმოებს და არ შეიქმნას რიგები. დასეტყვილ და დაზიანებულ ყურძენს, სამინისტრომ უკვე აღნიშნა, რომ სახელმწიფო საწარმო ჩაიბარებს და გლეხს დაუბინავებელი მოსავალი არ დარჩება", — აცხადებენ სოფლის მეურნეობის სამინისტროში.

საწვავი არის შშმ ბავშვებისთვის, მაგრამ ავტობუსი – არა

სახელმწიფოს არ გააჩნია ზუსტი სტატისტიკა იმის შესახებ, თუ რამდენი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია საქართველოში. ეს ფაქტი კი მნიშვნელოვნად აფერხებს მათი უფლებების დაცვას — ამას ამბობს როგორც სახალხო დამცველის აპარატი, ასევე ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც აღნიშნულ საკითხზე მუშაობენ.

არ არის დათვლილი არც ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანების რიცხვი. ერთმა ორგანიზაციამ განაცხადა, რომ მას ჰყავს 200 ბენეფიციარი, რადგან დანარჩენზე მზრუნველობას ვერ შეძლებს, ასევე „ნაბიჯმა“ (არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა საკითხებზე) გვამცნო, რომ რამდენიმე ასეული ცერებრალური დამბლით დაავადებული ბავშვია საქართველოში. საქართველოს მასშტაბით, როგორც ციფრები გვამცნობს, ყოველწლიურად იკლებს შშმ პირთა რაოდენობა: 2010 წელს 138 614 პირი ირიცხებოდა, სოციალური მომსახურების სააგენტო 2011 წლის დეკემბერში გვიცხადებდა, რომ 129599 პირი იღებდა პენსიას ინვალიდობის გამო. 2012 წლის იანვარში კი ეს რიცხვი შემცირდა 514 ადამიანით და 129 085 პირი შეადგინა. ბუნებრივია, ისმება კითხვა, ყოველ ერთ თვეში ამდენი შშმ პირი იღუპება თუ ქართული ჯანმრთელობის დაცვა იმ დონეზეა ასული, რომ 30 დღეში 500 ადამიანი გამოაჯანმრთელა?!

როცა საუბარია შშმ პირთა ოდენობაზე, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ინფორმაციით, სახელმწიფოების უმეტეს ნაწილში შშმ ადამიანთა ხვედრითი წილი 10-15%-ია, საქართველოში კი ეს მაჩვენებელი, დაახლოებით, მხოლოდ 3%-ია. სასურველია, თუ ჩვენი მოსახლეობის ასეთი დაბალი პროცენტული მაჩვენებელი იქნება რეალური, მაგრამ მთლიანი მოსახლეობის 3% ნამდვილად არ არის შეზღუდული შესაძლებლობების. როგორ უნდა დათვალოს სახელმწიფომ ასეთი ადამიანები?! ინვალიდობის პენსიით?! სოციალური მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდზე ვკითხულობთ: „ვის ენიშნება სახელმწიფო პენსია შეზღუდული შესაძლებლობის (ინვალიდობის) გამო? პენსია შეზღუდული შესაძლებლობის (ინვალიდობის) გამო ენიშნება საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, რომელსაც დადგენილი აქვს შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი: მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებს (I ჯგუფი); მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებს (II ჯგუფი); ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ომის ვეტერანებს (III ჯგუფი); შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვებს.“

ცალკე საკითხია შშმ პირთა პენსიის დანიშვნისათვის გასავლელი საფეხურები: „პენსიის დანიშვნა შესაძლებელია სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონულ განყოფილებაში, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, სადაც უნდა წარადგინოთ შემდეგი დოკუმენტები: განცხადება სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონული განყოფილების უფროსის სახელზე, პირადობის მოწმობა, ასლთან ერთად, სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის აქტის ამონაწერი; საჭიროების შემთხვევაში, ერთ-ერთი მშობლის ან მეურვის/მზრუნველის პირადობის მოწმობა, ასლთან ერთად; მეურვეობა/მზრუნველობის დამადასტურებელი დოკუმენტი; ინვალიდი ბავშვის შემთხვევაში — ბავშვის დაბადების მოწმობა, ასლთან ერთად.“

ერთ-ერთი ძირითადი საბუთი, რომელიც იმ რამდენიმე ათეულ ლარს შესძენს შშმ პირს, არის სამედიცინო ექსპერტიზის აქტი, რომლის აღება არც ისე იოლია და ხშირად შეზღუდული უნარის მქონე ადამიანს არ შეუძლია იმ ბიუროკრატიული ბარიერების დაძლევა, რომელიც ამ საქმეს ესაჭიროება.

ვისაც ერთხელ მაინც უნახავს შშმ ბავშვი, თუ მას აქვს მნიშვნელოვანი პრობლემები (მათ შორის — სმენის, მხედველობის, მოძრაობის და ა.შ.), პენსია არ ჰყოფნის, მუნიციპალური და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ გაცემულ-გაწეული დახმარება არ არის საკმარისი, თავისთავად ისმევა კითხვა: ასეთი ადამიანები ზედმეტები არიან?! პათეტიკური პასუხიც მზადაა: ზედმეტი ადამიანი არ არსებობს! მინახავს, როგორ ტირის დედა, რომელსაც არ აქვს ის 400 ლარი, რომელიც მასაჟების გასაგრძელებლად ესაჭიროება ბავშვს, მაგრამ მუნიციპალიტეტს და სოციალური მომსახურების სამსახურებს არ შეუძლია დადგენილებების თუ დებულებების დარღვევა. ეს ნორმატიული აქტები კი ზოგჯერ 100 ლარამდეა, ზოგჯერ — ცოტა მეტი და მათი მიღების შემდეგ იმედგაცრუება ეუფლება ადამიანს. ეს მოწყალებაა თუ დახმარება?! ალბათ, უფრო მოწყალების ელფერი ადევს ასეთ აქციებს.

საჩხერის მუნიციპალიტეტში 158 შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვია რეგისტრირებული, მათგან მხოლოდ 23 -ია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, – ამბობს ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი. ამ ბავშვებიდან 20 ჩემთვის უკვე ცნობილია, რადგან უკვე ორჯერ ვეწვიე საქართველოს „ყრუთა კავშირის საჩხერის ფილიალს“ და იქ ბენეფიციართა რაოდენობა, შარშანდელთან შედარებით, გაიზარდა. ადრეც ვწერდი ამ საკითხზე, რომ ეს ორგანიზაცია მუნიციპალური დაფინანსებით არსებობს (20 ათასი ლარი გაწერილია ხელფასებზე, ერთჯერად კვებაზე, მასაჟისტის მომსახურებაზე, ფართის ქირაზე...) და გასაოცარი ის გახლავთ, რომ არასდროს ჰქონიათ გრანტი მოგებული (აქედან გამომდინარე — არც შეჭმული)! ორგანიზაციას არც კომპიუტერი და საოფისე კომბაინი ჰქონდა, ეს პრობლემა მოეხსნათ საზოგადოების მხარდაჭერით, თუმცა ახლა ფართია პრობლემა! „ყრუთა კავშირის საჩხერის ფილიალი“ ბაღის შენობაშია შეხიზნული და ერთი მცირე ოთახი, რომელიც დამლაგებელს აქვს „ოკუპირებული“, ვერაფრით დაუთმეს სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებს. რა აქვს „მის უდიდებულესობა“ დამლაგებელს იქ შენახული?! აქანდაზი, ტილო, ორი ცოცხი და მორყეული უფუნქციო მაგიდა! არ ვიცნობ დამლაგებელს, მაგრამ კიდეც რომ ვიცნობდე, რატომ უნდა ველაპარაკო მას, როცა ამ დამლაგებელს ჰყავს უფროსი და უფროსმა უნდა უთხრას სათქმელი? ამას ისიც დაემატა, რომ მომლოდინე მშობლები გარეთ გამოყარეს — ბაღის ტერიტორიაზე ნუ ხართო.

ბევრი რამ აკლიათ ამ ბავშვებს, მზრუნველობენ მშობლები, მასწავლებლები, საზოგადოებაც ზედმეტნაკლებად, მაგრამ აუცილებლად სჭირდებათ: საკუთარი ფართი და ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალება. მენტორული ტონით საჩხერის საკრებულოს თავმჯდომარეს ვუთხარი, რომ მომდევნო წელში გაზარდეთ ორჯერ ამათი დაფინანსება, თორემ სულ კაპიკ-კაპიკ მოვითვლი, რაში ხარჯავს მუნიციპალიტეტი ფულს-მეთქი. ფულის და კაპიკების თვლას რა აზრი აქვს, თუ ეს ბავშვები კვლავ ისეთივე დღეში დარჩებიან, როგორშიც ახლა არიან?

ადრე იყო პრეცენდენტი, როცა ჩემს სოციალური ხასიათის წერილს გამოეხმაურნენ მოქალაქეები, ეგებ ახლა „იავნანას“ ან სხვა საქველმოქმედო ორგანიზაციების მესვეურებმა წაიკითხონ და აუხდეთ ოცნება საჩხერელ შშმ ბავშვებს, მათ მშობლებსა და მასწავლებლებს: ეგებ უყიდონ ადაპტირებული ავტობუსი და შენობა. ამისთვის რამდენიმე ათასი ლარია საჭირო და სოციალური აქცია მასშტაბური უნდა იყოს, ან კიდევ, ვინმე კეთილმა, მდიდარმა უნდა ჩაიყოს ხელი ჯიბეში!

ჰო, სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ: საჩხერის საკრებულო მზადაა საწვავი გამოყოს ავტობუსისთვის, მაგრამ ეს ავტობუსი ჯერ კიდევ არსად ჩანს...

როლანდ ხოჯანაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგებელი რაიონში სამართლიანობის აღდგენას გეგმავს

„პირველი, რასაც გამგებლის თანამდებობაზე გავაკეთებ, სამართლიანობას აღვადგენ“ — ასე დაიწყო PSNEWS.GE-სთან საუბარი თერჯოლის მუნიციპალიტეტის ახლადარჩეულმა გამგებელმა მალხაზ გურგენიძემ. მისი თქმით, წინა ხელისუფლების პირობებში თერჯოლაში მეტ-ნაკლებად უსამართლობა იყო.

„საკადრო ცვლილებები დაბალ დონეზეც კი პიროვნებების სურვილით ხდებოდა. მთელ რაიონს რამდენიმე ადამიანი განკარგავდა, რაც უსამართლობას მეტ-ნაკლებად იწვევდა. ჩემი მმართველობის უმთავრესი ამოცანა სწორედ სამართლიანობის აღდგენა იქნება. შემდგომ ამისა, ვაპირებთ ისეთი მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებას, რაც რაიონის განვითარებას შეუწყობს ხელს,“ — აღნიშნა თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგებელმა.

მალხაზ გურგენიძე თერჯოლის საკრებულოს 5 წევრიანმა საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ 24 კანდიდატიდან შეარჩია. გურგენიძის თქმით, კომისიამ მის კანდიდატურაზე არჩევანი სახელმწიფო სტრუქტურაში მუშაობის გამოცდილების გამო შეაჩერა. როგორც ცნობილია, 2004 წელს, მას უკვე ეკავა თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანამდებობა. მიმდინარე წლის ივნისიდან კი გამგებლის მოვალეობის შემსრულებლად ინიშნებოდა.

გურგენიძის განცხადებით, სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში თერჯოლის 19 სოფელში სხვადასხვა სამუშაოები მიმდინარეობს, რომლებიც 2013 წლის 1 დეკემბერს უნდა დასრულდეს. რეგიონული განვითარების

მალხაზ გურგენიძე

ფონდის დაფინანსებით კი მდინარე ყვირილაზე ხიდის მშენებლობაა დაწყებული, ასევე მიმდინარეობს ჭოგნარის გზის მშენებლობა, რომელიც შემოვლით გზაზე დაერთდება, ჭალასთავის წყალსაცავის 1 100 000 ლარიანი პროექტის ფარგლებში კი თერჯოლის რამდენიმე სოფელს წყლის პრობლემა საერთოდ მოეხსნება.

27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, მსგავსად სხვა რაიონებისა, თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობაში რეორგანიზაცია დაიწყება და ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა თანამშრომელი კონკურსით შეირჩევა.

ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონში შესატანი ცვლილებით, რომელიც პარლამენტმა უკვე ორო მოსმენით განიხილა, თერჯოლის ადგილობრივ თვითმმართველობაში 177 საშტატო და 10 ხელშეკრულებით აყვანილი თანამშრომელი იმუშავებს.

ნესტან ჩაგელიშვილი

psnews.ge

წყალმომარაგების ახალი პროექტი

2013 წლის 4 ივლისს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ კონტრაქტორ კომპანიასთან გააფორმა კონტრაქტი, რომელიც ქუთაისში, ფოთსა და ანაკლიაში სასმელი წყლის სისტემის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად. კონტრაქტზე ხელმოწერის ცერემონიალი ქუთაისში, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ქუთაისის ოფისში შედგა. ცერემონიალს დაესწრნენ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დირექტორი არჩილ ცაბუტაშვილი, ქუთაისისა და ფოთის მერები და საკრებულოს თავმჯდომარეები, ქუთაისისა და ფოთის მაჟორიტარი დეპუტატები — გუბაზ სანიკიძე და ეკა ბესელია, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელი და საკრებულოს თავმჯდომარე.

კონტრაქტის ღირებულება 59,5 მილიონი ლარია. ტენდერში გამარჯვებულია ესპანური კომპანია Cobra Instalaciones y Servicios SA („კობრა ინსტალაციონესი სერვისიოს"). პროექტი აზიის განვითარების ბანკის დაფინანსებით ხორციელდება. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია სამი ქალაქის — ქუთაისის, ფოთისა და ანაკლიის წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესება. აღნიშნული პროექტის განხორციელების შედეგად, 96 კმ-ზე გაკეთდება წყალმომარაგების მილები. 5 ადგილას აშენდება რკინა-ბეტონის წყლის რეზერვუარები საერთო სიმძლავრით 35 000 მ/კუბ. ასევე, პროექტი მოიცავს 4 სატუმბი სადგურის (საერთო სიმძლავრით 4 516მ³/სთ) მშენებლობას და წყლის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობას.

პროექტის მიხედვით, ქუთაისში განხორციელდება 26 422 935 ლარის ღირებულების სამუშაოები, რის შედეგადაც 14 000 ოჯახს 24 საათიანი წყალმომარაგება ექნება, ხოლო 36000 ოჯახს — გაუმჯობესებული წყალმომარაგება. პროექტის ფარგლებში მოხდება:

- ორი სატუმბი სადგურის რეაბილიტაცია 465 მ³ — ვაჟა-ფშაველასა (348 მ³) და კლდიაშვილზე (117 მ³);
- 4 ახალი რეზერვუარის მშენებლობა, დაახლოებით, 15 000 მ³ მოცულობის;
- გადამცემი მაგისტრალური მილსადენის და სადისტრიბუციო ქსელის მშენებლობა 52 კმ.
- დაახლოებით, 40 000 ცალი მრიცხველის, მილის, ფიტინგის და ა.შ. მონტაჟი მრავალსართულიან საცხოვრებელ კორპუსებში წყლის მოხმარების აღრიცხვის მიზნით.

(საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მონაცემები)

იმავე დღეს ხელმოწერის ცერემონიალის მონაწილეები შეხვდნენ გელათის ქუჩის მაცხოვრებლებს და წყალმომარაგების ახალი პროექტის დაწყ ება მიულოცეს. მათ მოსახლეობას მიაწოდეს ინფორმაცია, თუ კონკრეტულად რა სამუშაოები ჩატარდება ქალაქში.

როგორც ადგილობრივებმა განაცხადეს, მრავალი წელია, მათ წყლის პრობლემა აწუხებთ, თუმცა, მისი მოგვარება ამ დრომდე ვერ მოხერხდა. მოსახლეობის თქმით, პროექტი მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და იმედი გამოთქვეს, რომ პროექტის დასრულების შემდეგ მათ წყალმომარაგების პრობლემა გადაუწყდებათ.

***

საქართველოში აშშ-ის საელჩომ დემოკრატიის განვითარების მცირე საგრანტო პროგრამის ფარგლებში დააფინანსა ა.ა.ი.პ. „ახალი სამოქალაქო აზროვნება +"-ის მიერ წარდგენილი პროექტი „ქუთაისის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის ქსელის რეაბილიტაციის პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართვა". პროექტის მიზანს წარმოადგენს ქუთაისის მოსახლეობის გააქტიურება ქალაქის წყალსადენისა და კანალიზაციის ქსელების სარეაბილიტაციო პროცესებში (დაგეგმვა, პროექტირება, სამუშაოთა განხორციელება და გადაწყ ვეტილებათა მიღება) ჩართვისთვის და სარეაბილიტაციო პროექტების ეფექტურად და გამჭვირვალედ განხორციელებისთვის. ვინაიდან აღნიშნული პროექტის დაფინანსების ძირითადი აქცენტი განპირობებულია ქუთაისში წყალმომარაგების სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებით, აუცილებელი გახდა მასზე ძირითადი ყურადღების გადატანა.

***

30 ივლისს, ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროსთან არსებული არასამთავრობო ორგანიზაციათა საინფორმაციო-საკონსულტაციო ჯგუფის ინიციატივით, შედგა შეხვედრა ქუთაისის წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაციის პროექტის განხორციელებაში ადგილობრივი სტრუქტურების (მაჟორიტარი დეპუტატის ბიურო, თვითმმართველობა, სერვისცენტრი, არასამთავრობო ორგანიზაციები) ჩართვასთან დაკავშირებით, რომელსაც ესწრებოდნენ როგორც ჯგუფის წევრები, ასევე საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის წარმომადგენლები:

- მიხეილ შარმიაშვილი — შემოსავლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
- ზვიად მანდარია — საპროექტო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;
- ფრიდონ ფხაკაძე — მეტროლოგიის და გამრიცხველიანების სამმართველოს უფროსი;
- მიხეილ თათარაძე — ქუთაისის სერვისცენტრის უფროსი.

საკითხის განხილვის დროს დისკუსიაში მონაწილეობდნენ ზვიად მანდარია, რევაზ ახალაია, ზაზა ხელაძე და ლაშა ჭელიძე. ამ უკანასკნელმა (აშშ-ის საელჩოს მიერ დაფინანსებული პროექტის დირექტორმა), შესთავაზა წყალმომარაგების მესვეურებს, პროექტის ფარგლებში გაფორმებულიყო „შეთანხმება ურთიერთთანამშრომლობის შესახებ", შექმნილიყო სპეციალისტთა ჯგუფი, რომელიც შეისწავლიდა განსახორციელებელი წყალმომარაგების პროექტის დადებით და უარყოფით მხარეებს, ჩამოაყალიბებდა საექსპერტო დასკვნას და გააცნობდა მას ქუთაისის საზოგადოებას. ასევე ჩამოაყ ალიბებდა საზოგადოებრივი მონიტორინგის ჯგუფს, რომელიც მონიტორინგს გაუწევდა მშენებლობის წარმართვას პროექტის სრული დაცვის, ეფექტურობის გაზრდის და საზოგადოების ინტერესების დაცვის მიზნით.

შემოთავაზებულ წინადადებას დადებითად შეხვდა წყალმომარაგების წარმომადგენლები. ბატონმა მიხეილ შარმიაშვილმა შემხვედრი წინადადებით შესთავაზა ლაშა ჭელიძეს წარმოედგინა შეთანხმების ტექსტი აღნიშნულ საკითხზე, რომელსაც ხელს მოაწერდა საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ხელმძღვანელობა.

შეთანხმების სამუშაო ვარიანტი მიეწოდა საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას განსახილველად და ორივე მხარეს მიერ საბოლოოდ გაფორმდა „შეთანხმება ურთიერთთანამშრომლობის შესახებ", რომელიც წარედგინა დამსწრე საზოგადოებას პროექტის „ქუთაისის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის ქსელის რეაბილიტაციის პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართვა" პრეზენტაციაზე 4 სექტემბერს. პრეზენტაციის დამსწრეების მიერ დისკუსიაში გამოთქმული წინადადებებიდან განსაკუთრებით გამოსაყოფია ორი:

- ქუთაისის წყალმომარაგების სერვის-ცენტრის მენეჯერმა, მიხეილ თათარაძემ, თავის გამოსვლაში სრული მზადყოფნა გამოთქვა თანამშრომლობისა და ხელშეწყობის სარეაბილიტაციო პროექტის გაცნობის, შესწავლისა და განხილვისათვის ჩასატარებელი სამუშაოების უზრუნველყ ოფის მიზნით.
- „ჭიათურელთა კავშირის" თავმჯდომარემ, შოთა გაფრინდაშვილმა, სურვილი გამოთქვა ურთიერთთანამშრომლობისა და გამოცდილებათა გაზიარების ქუთაისის არასამთავროებთან, რადგანაც მისი ორგანიზაცია ასევე ახორციელებს ჭიათურაში პროექტს წყალმომარაგების საკითხებზე, კერძოდ — მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებასა და ადვოკატირებაზე.

პრეზენტაციას დაესწრნენ მასმედიის წარმომადგენლები (ტელე, რადიო, ბეჭდვითი). დასასრულს, გაზეთ „***P.S.***"-სათვის მიცემულ ინტერვიუში, პროექტის დირექტორის მიერ დადებითად იყო შეფასებული ის ფაქტი, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ამზადებს ახალ საკანონმდებლო ინიციატივას — 2014 წლის 1 იანვრიდან, სოფლის წყალი მუნიციპალიტეტების საკუთრება გახდეს. ეს იქნება ერთი დიდი ნაბიჯი დეცენტრალიზაციისკენ. ამასთან, იმისთვის, რომ ეს საქმე მუნიციპალიტეტებს მძიმე ტვირთად არ დააწვეს, პირველ ეტაპზე სამინისტრო მათ მაქსიმალურად დაეხმარება.

***

13 სექტემბერს გავმართეთ შეხვედრა გელათის და კლდიაშვილის ქუჩების მოსახლეობასთან, რომლებიც წარმოადგენენ პროექტის ბენეფიციარებს და ყველაზე მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან სასმელი წყლით მომარაგების მხრივ. პრობლემის სიმწვავიდან, და ჩვენი ინიციატივიდან გამომდინარე, შეხვედრის მონაწილეებმა გადავწყ ვიტეთ, რომ უბნის წარმომადგენლებიდან შეიქმნას საინიციატივო ჯგუფი, რომელიც განახორციელებს უბანში წყალმომარაგების პროექტისა და სარეაბილიტაციო სამუშაობის მიმდინარეობის მონიტორინგს სამუშაოების საბოლოოდ დამთავრებამდე, რაშიც მათ დაეხმარება ჩვენი ორგანიზაცია და აშშ-ის საელჩოს პროექტის ფარგლებში მოწვეული ექსპერტები მშენებლობისა და წყალმომარაგების დარგში.

შემდეგი შეხვედრა გავმართეთ 26 სექტემბერს ხანდაზმულთა სოციალური ცენტრის წევრებთან, რომლებიც არიან ასაკით პენსიონერები და ხშირ შემთხვევაში — შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები. პროექტზე ინფორმაციის მიწოდების შემდეგ მოხდა წყალმომარაგებასთან დაკავშირებული მათი პრობლემური საკითხების აღრიცხვა შემდგომი რეაგირების და პრობლემების აღმოფხვრის მიზნით.

პროექტი „ქუთაისის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის ქსელის რეაბილიტაციის პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართვა" ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია საქართველოში აშშ-ის საელჩოს მიერ, რის გამოც დიდ მადლობას ვუხდით მათ ნდობისა და მხარდაჭერისათვის.

ლაშა ჭელიძე,
პროექტის **„ქუთაისის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის ქსელის რეაბილიტაციის პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართვა"** და ა.ა.ი.პ. **„ახალი სამოქალაქო აზროვნება +"**-ის დირექტორი

This project is funded by the U.S. Embassy Tbilisi. The contents of this publication are those of the Author(s) and do not necessarily represent the views of the Department of State.

პროექტი დაფინანსებულია აშშ-ის საელჩოს მიერ. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის თვალსაზრისს.

ნაირა გელაშვილი:

„თუ ადამიანი გარემოსდამცველი არ არის, ის წარსულს ეკუთვნის"

ინტერვიუ მწერალთან, „კავკასიური სახლის" ხელმძღვანელთან და „მწვანე აქტივისტთან" ნაირა გელაშვილთან

საქართველოს ენერგეტიკული განვითარების მიმართულებაზე, ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობასა და გარემოსდაცვით პოლიტიკაზე, ეკოლოგიური ცნობიერების გაზრდაში საზოგადოებისა და სოციალური ინსტიტუტების როლზე „ლიბერალის" შეკითხვებს მწერალი და „მწვანე აქტივისტი" ნაირა გელაშვილი პასუხობს.

ნაირა გელაშვილი

— ქალბატონო ნაირა, თქვენ „ქართული ოცნების" ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერი იყავით, სიტყვით გამოხვედით საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების" დამფუძნებელ ყრილობაზეც. ის, რომ გარემოსდაცვითი საკითხები კოალიციამ ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად დააასახელა, იყო თუ არა თქვენი გადაწყვეტილების ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორი?

— ჩვენ ყველამ „ქართული ოცნება" იმ ერთადერთ ძალად აღვიქვით, რომელსაც შესწევდა უნარი, დაესრულებინა ჩვენს თავს დატეხილი ცხრაწლიანი კოშმარი. ეს კოშმარი კი მდგომარეობდა არა მხოლოდ „დაუვიწყარ" ძალადობაში ადამიანის, არამედ, ჩვენი სასიცოცხლო სივრცის მიმართაც. ამიტომ მეც და სხვებიც „ქართული ოცნებისგან" ველოდით ყველა ფუნდამენტური ფასეულების, მათ შორის, ბუნებრივი მემკვიდრეობის: მდინარეების, მთების, ტყეების და ა.შ. დაცვას. მართლაც, მათ პროგრამაში აშკარად გამოკვეთილი იყო ეკოლოგიური და გარემოსდაცვითი ცნობიერების ნიშნები და დაპირებები. ერთადერთხელ მქონდა ბატონ ბიძინასთან შეხვედრა. ვუთხარი, რამდენი ჰესის აშენებას გეგმავდნენ „ნაციონალები", რამდენი მდინარის განადგურებას ნიშნავდა ეს და რამდენად იზრდებოდა ამით ბუნებრივი კატასტროფების რისკი. ჩემი შთაბეჭდილებით, ჩემს წინ იდგა ადამიანი თანდაყოლილი მგრძნობელობით ცოცხალი ბუნებისა და მისი სილამაზის მიმართ (ამიტომ, იმ წუთებში, იგი ველარ დავუკავშირე იმ სრულიად დამთრგუნველ სასახლეს თბილისის თავზე, რომელსაც მუდამ ვაკრიტიკებდი). ამანაც განაპირობა, რომ საბოლოოდ სიტყვით გამოვედი. ცივილიზებული საზოგადოებისთვის უკვე ძალზე ნაცნობი აზრის გამოთქმას ვცდილობდი, კერძოდ, რომ ადამიანის პასუხისმგებლობის არეალი უნდა გაიზარდოს და მეორე ადამიანის გარდა, ბუნების საგნებიც, ყველა სულიერი არსებაც უნდა მოიცვას, ანუ ადამიანმა, ბოლოს და ბოლოს უნდა გააცნობიეროს, რომ მას მართებს იყოს ეთიკური არა მხოლოდ სოციუმის, არამედ მთელი სამყაროს, მცენარეებისა და ცხოველების მიმართაც. ეს არის უკანასკნელი საუკუნეების ევროპული აზროვნების ყველაზე კეთილშობილური და ღრმა ნაკადი, ერთადერთი, რომელიც მომავალს უხსნის გზას. ჩვენთან კი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მსოფლგანცდას უპირველესად ვაჟა-ფშაველას პოეზიაში აქვს ფესვი გადგმული. ეს არის ჩვენი სულიერი მემკვიდრეობა და ჩვენი მსოფლხატის საფუძველი, და როცა მთებს და ხეობებს ანადგურებ თუ შვლის მოკვლას კანონით აწესებ, საკუთარ ფესვებს ხრავ და ეროვნულ უსახობას, არარაობასა და კანიბალიზმს უხსნი გზას. სამწუხაროდ, იქვე ვიგრძენი, რომ ეს რეგისტრი რაღაც უადგილოდ ჟღერდა და იმ მაჟორულად განწყობილი დარბაზის დიდი ნაწილი ამ პრობლემის მიმართ გვარიან უგრძნობლობას ამჟღავნებდა. იგრძნობოდა „ძველი ნაღმების": კლიშეებისა და ლოზუნგური „სიმართლეების" სუნთქვა.

— მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, კახა კალაძის ენერგეტიკის მინისტრად დანიშვნისა და მისი ბიზნეს-ინტერესების შესახებ თქვენ განაცხადეთ, რომ „ქართულ ოცნებას" „პირველი მძიმე ჩრდილი დაეფინა". რას ფიქრობთ ამჟამად ენერგეტიკის სამინისტროს მუშაობაზე?

— ეს ჩრდილი დღეს კიდევ უფრო გამუქდა. თავიდანვე მთელი საზოგადოების განცვიფრება გამოიწვია იმან, რომ მინისტრად არაპროფესიონალი ადამიანი დაინიშნა. ჩვენ ყველა მთავრობას ამას ვუჩიოდით და ახლაც ეს მოხდა: ასეთი რთული და სტრატეგიული დარგის მინისტრად დაინიშნა ადამიანი, რომელსაც დარგთან შეხება არ ჰქონდა. მოგვიანებით კი „ნაციონალური მოძრაობის" წევრებისგან შევიტყვეთ ის, რაც დაგვიმალეს, რომ კახი კალაძე თურმე სწორედ საკუთარი ფინანსური ინტერესების გამო მოხვდა ამ ადგილას. ვის და როგორ გადაუფორმა მან თავისი 49%-იანი წილი, ეს კიდევ საკითხავია.

ადამიანები ახალი ხელისუფლებისგან ზნეობრივ განახლებას ელოდნენ და არა მხოლოდ პურს. თუმცა, ძალიან კარგად შემიძლია წარმოვიდგინო ის უზარმაზარი სიძნელეები, რომელთა წინაშეც პირადად ბიძინა ივანიშვილი აღმოჩნდა.

გზა, რომელსაც „ოცნება" და ენერგეტიკის სამინისტრო დაადგნენ, ნიშნავს, რომ საქართველო ადამიანთა საცხოვრისად აღარ ივარგებს და უბრალოდ ტერიტორიად გადაიქცევა. განათლების, სოფლის მეურნეობისა თუ ბევრ სხვა სფეროში დაშვებული შეცდომები, ადრე თუ გვიან, შეიძლება გამოვასწოროთ. მაგრამ ის, რაც აღარასდროს აღდგება, არის განადგურებული, დანგრეული და აფეთქებული ხეობები, მკვდარი ტბები და მდინარეები. აქ, კალაძის ფანტაზიით, აღარც თერგი უნდა ქუხდეს, აღარც არაგვი და მათ ნაცვლად გიგანტური რკინის მილები უნდა გაწვნენ ხეობებში. ნამდვილი აპოკალიპსური ლანდშაფტია!

ჩვენს შვილებს კარგი და ლამაზი ვერაფერი დავახვედრეთ. ერთადერთი ბუნება დარჩა, მთები, ხეობები, ტყეები და ველ-მინდვრები, — სილამაზის, სიმშვიდის, სილაღის საუფლო, სადაც ქალაქის სნეული ცხოვრებით გამოფიტულ ახალგაზრდებს სულიერი ძალების აღდგენა შეუძლიათ. მახსოვს, როგორ ავივსეთ პოეზიით და ახალი სასიცოცხლო ძალებით მე და ჩემი მეგობრები, როდესაც პირველად მოვხვდით ალპინიადაზე უნიკალურ ხდის ხეობაში, რომელსაც ახლა განადგურება დაუპირეს. მაინტერესებს, მისი მოსპობის სანაცვლოდ, რა უნდა მოგვცენ? ისედაც როგორაა ეს საკითხი გადაბმული სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმებთან, როცა არსებობს მცირემიწიანი ქვეყნის 2000 ჰექტრის წყლით დაფარვის გეგმა?

საბჭოთა ეპოქიდან მოყოლებული, ეს ტექნოკრატები მართლა ეშმაკებივით შეუჩნდნენ ხაიშისა და სხვა სვანური სოფლების მოსახლეობას: გაყიდეთ თქვენი მიწა-წყალი, წყალში ჩაძირეთ თქვენი მამა-პაპის, შვილებისა თუ და-ძმის საფლავები! სიწმიდეები, ეკლესიები, სავარგულებიო! ამისკენ მოვუწოდებთ ხალხს? ის, რასაც ამდენი წელია ხაიშელები უძლებენ, — გმირობის ტოლფასია. ეს მატერიალისტი ტექნოკრატები რომ მიუშვა, რაც საქართველოს თავზე ვარსკვლავებია, — იმათაც გაყიდიან. არ ესმით, რომ ყველაფრის გაყიდვა და ფულად ქცევა არ შეიძლება!

ამასობაში კი კახა კალაძე უკვე იმ გარემოსდამცველების შეურაცხყოფაზე გადავიდა, რომლებიც ენერგეტიკის სამინისტროს პოზიციას არ ეთანხმებიან. შეიძლება, ვთქვათ, მინისტრი არ იყოს დარგის სპეციალისტი, მაგრამ იყოს მგრძნობიარე მშობლიური ბუნებისა და ცოცხალი სილამაზისადმი, თავისი დაუმახინჯებელი, პირველადი შეგრძნებებით სწორი დამოკიდებულება ჰქონდეს სამყაროს, სიცოცხლისა და საკუთარი ხალხის ბედის მიმართ. მაგრამ არც ამ შემთხვევასთან გვაქვს საქმე.

— საზოგადოებაში ტრიალებს აზრი, რომ კალაძე მხოლოდ ფიგურაა, რომლის ხელითაც გარკვეული საქმე კეთდება და ამ პროცესების უკან დიდი ფინანსური ინტერესების მქონე ჯგუფი დგას, მათ შორის „ნაციონალებიც".

— ეს არ ვიცი, მაგრამ რაც ნამდვილად ვიცი, ის არის, რომ ამ „ენერგეტიკულმა სტრატეგიამ" „ქართულ ოცნებას" უამრავი საუკეთესო ადამიანი დააკარგვინა, რადგან ისე გამოდის, რომ ეს ხელისუფლება ერთი ხელით აშენებს და მეორეთი ანგრევს. ამას ღრმა გულისტკივილით, თითქმის სასოწარკვეთით ვამბობ, რადგან არც ჩემი ქვეყანა მემეტება ამისთვის და არც ბიძინა ივანიშვილი ამ „მისიისთვის". ის მართლაც ისტორიული მნიშვნელობის პიროვნებაა, ეს კი დიდ ჩრდილს მიაყენებს მას. უმეტესობას, მის ირგვლივ, დასაკარგი ხომ არაფერი აქვს.

— გარემოს დამცველებს ბოლო დროს ხშირად უწოდებენ განვითარების მტრებს. პრემიერ-მინისტრი, ენერგეტიკის მინისტრი და სხვებიც ამბობენ, რომ ქვეყანას ეს პროექტები ენერგოდამოუკიდებლობისა და უსაფრთხოებისთვის სჭირდება. რა შეგიძლიათ მათ უპასუხოთ?

გაგრძელება **მე-10 გვერდზე**

ნაირა გელაშვილმა მწერლებს ხუდონჰესის საწინააღმდეგო პეტიციის ხელმოწერისკენ მოუწოდა

ლიტერატურული პრემიის „საბას" დაჯილდოებაზე მწერალმა ნაირა გელაშვილმა თავის სამადლობელ გამოსვლაში მწერლებს ხუდონჰესის საწინააღმდეგო პეტიციის ხელმოწერისკენ მოუწოდა! გთავაზობთ მწერლის გამოსვლის სრულ ტექსტს.

„მოგესალმებით ყველას! დიდი მადლობა ამ პრემიის მესვეურებს, უპირველეს ყოვლისა, „თი ბი სი" ბანკს, მის ხელმძღვანელს, რა თქმა უნდა, ჟიურის წევრებს, მუსიკოსებს, აქ დამსწრე საზოგადოებას. საქართველოში საქმე ისეა, რომ რაიმე კარგი რომ იწყება, ძალიან მალე კვდება და, ჯერჯერობით, აი, ამ „საბას" პრემიას ეს მომავალი არ უჩანს და ვუსურვოთ, რომ ასე გაგრძელდეს და შემოიტანოს ეს სიხარული, სტიმული, ენთუზიაზმი ძალიან მძიმე ქვეყანაში, სადაც მწერლებს და პოეტებს ძალიან უჭირთ, ძალიან უჭირთ, იმიტომ, რომ ეს არის ძალიან ძალაგამომცლელი და ღონეგამომცლელი და სულის დამშრეტი სინამდვილე, რაც ჩვენთან უკვე ამდენი ხანია გრძელდება.

ამ პრემიის ნაწილი, რომლის ღირსიც მე გავხდი, მინდა გადავცე სოფელ ხაიშის საშუალო სკოლას და საბავშვო ბაღს. სულ ცოტა ხნის წინ, რამდენიმე დღის წინ საზოგადოების ერთმა პატარა ნაწილმა ჩვენი ინიციატივით მივანიჭეთ ამ სოფელს გმირი სოფლის წოდება, იმიტომ რომ 20 წელზე მეტია ეს სოფელი კლდესავით დგას და როცა ირგვლივ ამდენმა გაყიდა ყველანაირი სულიერი ღირებულება, როცა არავის უნდა ეს საქართველო, როცა აქედან გარბიან, ამ სოფელს და მის მაცხოვრებლებს სთავაზობენ ყველაფერს, ოღონდ გაყიდონ ადამიანური ღირებულებები, თავიანთი საფლავები, ეკლესიები, სავარგულები, სიწმინდეები. და ეს ღარიბი სოფელი, რომელიც განიცდის ყველანაირ დაწოლას, გადაბირებას, მოსყიდვას, დაშინებას, როგორც ეს იყო საბჭოთა კავშირიდან მოყოლებული დღემდე, ეს ხალხი დგას მტკიცედ და მიტოვებულია მთელი საქართველოსგან, ფაქტობრივად, დამწერლებისგანაც და დედაქალაქისგანაც. ეს იქნება ჩემი მოწოდება მწერლებისადმი. მე მოვუწოდე მათ რამდენიმე დღის წინ: 2012წელს პენ-ცენტრმა და მისმა გამგეობამ გამოაქვეყნა მკაცრი საპროტესტო წერილი მაშინდელი ხელისუფლების მიმართ იმ ბარბაროსული პროექტების განხორციელების მცდელობისა და სურვილისათვის, რომელიც აპოკალიფსურ მასშტაბებს იღებს უკვე საქართველოში და თუ ისინი განხორციელდა, მთელი სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, აჭარა და შემდეგ უკვე სხვა რეგიონებიც კატასტროფის პირას აღმოჩნდებიან, ათასობით და ათიათასობით ჰექტარი ჩაიძირება წყალში და ჩვენ შეგვრცხვება, რომ ამ დროს ვცხოვრობდით, მწერლები ვიყავით, ვწერდით და პრემიებს ვიღებდით. ეს არ უნდა დავუშვათ!

90-იან წლებშიც აპროტესტებდნენ ხუდონჰესის აშენებას...

მე მოვუწოდებ მწერლებს, ხელი მოაწერონ ხელახლა, დააფიქსირონ ფიქსირეთ წინა ხელისუფლების დროს, რადგან ეს გრძელდება და ამას არავითარი ახსნა, არავითარი პატიება, არავითარი გაგება არ აქვს.

სახარებაში წერია: რად გინდა მთელი ქვეყანა მოიპოვო და შენი სული დაკარგოო. რად გვინდა ან პრემია, ან ტექსტები, ან ლიტერატურა, თუ ირგვლივ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ულამაზესი ბუნება, რომელსაც უმღეროდნენ ჩვენი წინაპრები — ილია, ვაჟა, აკაკი, გალაკტიონი — წყალში ჩაიძიროს და აქ ტექნოკრატიულმა ფინანსურმა წრეებმა იხეირონ მხოლოდ და არც ჩვენს შვილებს და არც შვილიშვილებს საცხოვრისი აღარ დავუტოვოთ.

ვენ შეგვრცხვება, როცა ამ ღონისძიებებს გაიხსენებს ხალხი. მე მწამს, რომ ამ დარბაზში მჯდომი ყველა ხმას აიმაღლებს დღეს და შეუერთდება ამ ჩვენს პროტესტს,იმიტომ რომ, თუ ჩვენ ეს დავუშვით, მართლა აღარაფერი გაგვიხარდება, რაც კი სასიხარულო იყო, აი, ამ ხანებში. დიდი მადლობა და მე მგონია, რომ თქვენ მხარს მიჭერთ!"

პრეზიდენტობისათვის 23 კანდიდატი იბრძოლებს

მიმდინარე წლის 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებზე, საქართველოს საარჩევნო ისტორიაში, პრეზიდენტობის კანდიდატთა რეკორდული მაჩვენებელი დაფიქსირდა.



ცენტრალური საარჩევნო კომისიის საბოლოო ინფორმაციით, პრეზიდენტობისათვის 23კანდიდატი იბრძოლებს. ყველაზე მეტი — 7 კანდიდატი 2008 წლის 5 იანვრის ბოლო საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობდა, 1991 წლიდან ჩატარებულ ყველა დანარჩენ საპრეზიდენტო არჩევნებზე კანდიდატთა მაქსიმალური რაოდენობა 6-ს შეადგენდა.

ცესკო-ს მიერ დარეგისტრირებული კანდიდატებიდან 10 პოლიტიკურმა პარტიებმა წარადგინეს, ხოლო 13 დამოუკიდებელი, საინიციატივო ჯგუფების მიერ არიან წარდგენილნი.

საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს: გიორგი მარგველაშვილმა — „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"; დეპუტატმა დავით ბაქრაძემ — „ნაციონალური მოძრაობა"; ნინო ბურჯანაძემ — „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველო"; შალვა ნათელაშვილმა — „ლეიბორისტული პარტია"; გიორგი თარგამაძემ — „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა"; კობა დავითაშვილმა — „ხალხის პარტია"; ცესკო-ს ყოფილმა თავმჯდომარემ ზურაბ ხარატიშვილმა — „საქართველოს ევროპელი დემოკრატები"; აკაკი ასათიანმა — „ტრადიციონალისტები"; სერგო ჯავახიძემ — „სამართლიანი საქართველოსთვის"; აფხაზეთის უზენაესი საბჭოს ყოფილმა თავმჯდომარემ თეიმურაზ მჟავიამ — „ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია".

ამ კანდიდატებიდან მხოლოდ შვიდს აქვს კამპანიის ფარგლებში უფასო სარეკლამო დროით სარგებლობის უფლება, ვინაიდან მათი წარმდგენი პარტიები საბიუჯეტო დაფინანსებას იღებენ. კვალიფიციური სუბიექტებისთვის დაწესებული ამ საკანონმდებლო პრივილეგიით ვერ ისარგებლებენ პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარეები ნინო ბურჯანაძე და აკაკი ასათიანი; ასევე ლეიბორისტების ლიდერი შალვა ნათელაშვილი, რომელიც უკვე მეორედ იყრის კენჭს საპრეზიდენტო არჩევნებში.

13 დამოუკიდებელ კანდიდატს შორის არიან: ნესტან კირთაძე — „ლეიბორისტული პარტიის" ყოფილი წევრი; ქართლოს ღარიბაშვილი, რომელსაც სამ საპრეზიდენტო არჩევნებში აქვს მონაწილეობა მიღებული; ავთანდილ მარგიანი და თამაზ ბიბილური — ორივეს სურდა წინა საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭისყრა, თუმცა, მოხსნეს თავიანთი კანდიდატურები; საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილი კანდიდატები: მიხეილ სალუაშვილი; ლევან ჩაჩუა; ნუგზარ ავალიანი; გიორგი ჩიხლაძე; თეიმურაზ ბობოხიძე; ნინო ჭანიშვილი; მამუკა ჭოხონელიძე; გიორგი ლილუაშვილი და მამუკა მელიქიშვილი.

კანდიდატების რეგისტრაცია ცესკო-მ კანონით დადგენილ ვადაზე, რომელიც 27 სექტემბერს იწურებოდა, ოთხი დღით ადრე დაასრულა.

ამასთან, კანონმდებლობა რეგისტრირებულ კანდიდატს უფლებას აძლევს არჩევნებში მონაწილეობაზე უარი 17 ოქტომბრამდე თქვას; თუ კანდიდატი ამ ვადის შემდეგ მოხსნის თავის კანდიდატურას, მისი გვარი მაინც იქნება წარმოდგენილი საარჩევნო ბიულეტენში.

თავდაპირველად კანდიდატობის სურვილი სულ 54-მა პირმა გამოთქვა, საიდანაც 31-ს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.

აქედან, ცესკო-ს ინფორმაციით, თორმეტს იმის გამო ეთქვა უარი, რომ მხარდამჭერთა სია არ წარადგინა 17 სექტემბრამდე; შვიდს — პირადი განცხადების საფუძველზე; სამს — არასრულყოფილი დოკუმენტაციის წარდგენის გამო; ორს მხარდამჭერთა სიაში ხარვეზის არ გამოსწორების გამო; ერთს — მხარდამჭერთა სიებში ხელმოწერების ნაკლებობის გამო; ერთს — საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტის გამო, ხოლო დანარჩენ ხუთს, მათ შორის, ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრს სალომე ზურაბიშვილს, ორმაგი მოქალაქეობის გამო.

ნესტან ჩაგელიშვილი
psnews.ge

ნაირა გელაშვილი:

„თუ ადამიანი გარემოსდამცველი არ არის, ის წარსულს ეკუთვნის"

ინტერვიუ მწერალთან, „კავკასიური სახლის" ხელმძღვანელთან და „მწვანე აქტივისტთან" ნაირა გელაშვილთან

მე-9 გვერდიდან

— ეს უკვე შაბლონურ ფრაზად იქცა, რადგან მაგის მეტი, როგორც წესი, არაფერი აქვთ სათქმელი. ამას ამბობდა ყველა, საბჭოთა ტექნოკრატიული მაფიიდან დაწყებული. ძალიან კარგი წერილი გამოაქვეყნა გარემოს დამცველმა ირაკლი მაჭარაშვილმა, სადაც აჩვენა, რომ ასეთ მითებს თვითონ წარსულში ჩარჩენილი ენერგეტიკოსები თხზავენ, შეგნებულად ან გულწრფელად. სამწუხაროდ, ის ძალები, რომლებიც ხელისუფლებაში მოდიან, ჩვეულებრივ, არ გამოირჩევიან ფართო ჰუმანიტარული განათლებით, რისი ნაწილიცაა ეკოლოგიური აზროვნება.

მთელ დასავლურ სამყაროშიც უკვე აქსიომაა, რომ თუ ადამიანი ეკოლოგი და გარემოსდამცველი არ არის, ის წარსულს ეკუთვნის და მომავალს ვერ ააშენებს. ის, ვისაც კი ბუნების მიმართ მგრძნობელობა აქვს, ღიაა სამყაროსათვის, მომავლისთვის. გამუდმებით ადამიანის უფლებებზე რომ ვსაუბრობთ, განა ადამიანის უპირველესი უფლება მისი სიცოცხლის უფლება არ არის? როგორ უნდა მოხდეს ამ უფლების რეალიზება სასიცოცხლო სივრცის განადგურების პირობებში?

ჩვენ, ეკოლოგიური კატასტროფების ეპოქაში მცხოვრებთ, ტექნიკის გამანადგურებელი ზემოქმედება ცოცხალ ორგანიზმებზე, კლიმატის ცვლილება და გლობალური დათბობა თუ მოგონილი გვგონია, თუ რადიაციის მატება არ გვაშინებს, თუ მოწამლული, „აგრესიული" წყალი და ჰაერი არ გვაფიქრებს, მაშინ წარსულს ვეკუთვნით და ვერ გადავრჩებით.

ენერგეტიკის სამინისტროს პოზიცია იმ სიტუაციას ჰგავს, გასათბობად რომ სახლი დაწვა. პრობლემა ცნობილია, მაგრამ მისი გადაჭრის სხვა გზებიც არსებობს. ისე იწუნებენ ე.წ. განახლებადი ენერგიების გზას, რომ არც სწავლობენ სერიოზულად.

ვისაც მართლა აინტერესებს პრობლემის გადაჭრა, ის სერიოზულად უნდა მუშაობდეს ამ საქმის სპეციალისტებთან და არა მხოლოდ იმ საბჭოთა ენერგეტიკოსებთან, რომლებითაც სავსეა ენერგეტიკის სამინისტრო. რომლებსაც მას მერე ახალი ცოდნა აღარ შეუძენიათ და საბჭოთა დროის დაწუნებული პროექტების ამოქმედებაზე ოცნებობენ.

როდესაც გვეუბნებიან, რომ ენერგია გვჭირდება, რომ ენერგოდამოუკიდებლობა გვჭირდება, იქნებ სჯობდეს, ჯერ ის გვითხრან, როგორ ქვეყანას ვაშენებთ. არ გვეღირსა ეკონომიკური განვითარების კონცეფცია, რომელსაც დაეფუძნებოდა ენერგეტიკული სტრატეგია. შევთანხმდეთ, რას ვაშენებთ, ინდუსტრიულ სახელმწიფოს, უზარმაზარი საწარმოებითა და ენერგიის მშთანთქმელი ცენტრალებით? რას ვავითარებთ: ენერგიატევად თუ მეცნიერებატევად დარგებს? ჩვენ მიგვაჩნია, რომ საქართველოში მცირე მრეწველობის დარგები, სოფლის მეურნეობა, მეცნიერება, კულტურა, ტურიზმი და ა.შ. ანუ ბუნების დამზოგავი დარგები უნდა განვითარდეს, რადგან ჩვენ ურთულესი ეკოსისტემების, აქტიური მიწისძვრების ზონაში ვცხოვრობთ და ძალიან ფრთხილად უნდა ვმოქმედებდეთ, რომ ეს ფაქიზი და საშიში შენობა თავზე არ დავიმხოთ.

საქართველო როგორც „მწვანე" ქვეყანა, რომელიც მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტს აწარმოებს, — თავისთავად საკმაო ფინანსებსაც მოიზიდავდა და ჩვენი მოსახლეობის სრულიად შერყეულ ჯანმრთელობასაც აღადგენდა. შეგნებული ტურისტი ტექნოლოგიური მიღწევების სანახავად არ დადის. ის იქ მიდის, სადაც სიცოცხლე, უნიკალური ბუნება და კულტურაა დაცული, სადაც სუფთა წყალს დალევს და ეკოლოგიურად სუფთა საკვებს მიიღებს.

— რას ფიქრობთ მწვანეთა პარტიის საქმიანობაზე, რომლის ლიდერიც კოალიციის პარტიული სიის ოცეულში შედიოდა და კოალიციის გამარჯვების შემდეგ, პრაქტიკულად, არ გვახსოვს გია გაჩეჩილაძის კრიტიკული გამოსვლა?

— ვფიქრობ, გიორგი გაჩეჩილაძე ხელისუფლებაში სწორედ იმიტომ შეიყვანეს, რომ მისი გაუვნებელყოფა მომხდარიყო. ახლა საზოგადოების მხრიდან უზარმაზარი შეკითხვა არსებობს გია გაჩეჩილაძის მისამართით. პროფესიონალი გარემოსდამცველი, მწვანეთა პარტიის ლიდერი არის კოალიციის წევრი, რომელიც ლამის ყველა მდინარეს ყიდის და წირავს. ის, რომ იგი არც გარემოს დაცვის მინისტრად დაინიშნა და არც კომიტეტის თავმჯდომარედ, უკვე ავბედითი ნიშანი იყო.

— „მწვანე აქტივიზმი", როგორც ასეთი, ქვეყანაში ფაქტობრივად არ არსებობს, გარემოსდაცმველები ხშირად მიუთითებენ, რომ დაბალია ეკოლოგიური ცნობიერებაც. ეკოლოგიური პრობლემების შესახებ გამართულ აქციებზეც, როგორც წესი, ძალიან ცოტა ხალხია. რატომ ხდება ასე, რატომ არის ამ მიმართულებით ნაკლები ინტერესი და აქტივობა?

— ყველაზე მთავარი ისაა, რომ იდეის დისკრედიტაცია მოხდა. უფრო ადვილია თავიდან შექმნა რაღაც ახალი, ვიდრე ძველი ააღორძინო. 90-იან წლებში მწვანეთა მოძრაობა ზურაბ ჟვანიას წყალობით ძალიან პოპულარული და ძლიერი გახლდათ. ეკოლოგიური იდეა ქვეყანაში ყველაზე მეტ ადამიანს აერთიანებდა. „მწვანეთა მოძრაობა" ყველაზე ნათელი და პროგრესული ძალა იყო, რომელმაც სხვადასხვა თაობისა და დარგის საუკეთესო სპეციალისტები, დიდი ინტელექტუალური რესურსი გააერთიანა, ბევრი ხმაც მიიღო და პარლამენტშიც შევიდა. მაგრამ შემდეგ თავისივე იდეებს უღალატეს. შევარდნაძის პერიოდში რომ დაიწყო ტყეების უკონტროლო მასობრივი ჩეხვა, პარკების გაპარტახება და სხვა პროცესები, მერე ამან შეუქცევადი ხასიათი მიიღო.

გარდა ამისა, მზარდი სიღატაკე არც ეკოლოგიისთვის და, საერთოდ, არც დემოკრატიისთვის არ ტოვებს სივრცეს. დემოკრატია იმ ქვეყნებში ძლიერდებოდა, რომლებიც აღმავალი კეთილდღეობის გზით მიდიოდნენ. ჩვენ კი იმ დროში მოგვიწია სიღატაკემ, როცა დრო აღარ ითმენს. როცა მთელი პლანეტა დასნეულებულია და უკვე სასმელი წყლისა და საკვები პროდუქტების პრობლემა დგება. გლობალური დათბობა იმაზე სწრაფად მიიწევს წინ, ვიდრე მეცნიერებს ეგონათ და ვიდრე მას შეიძლება მეცნიერული აზრი დაეწიოს. ეკოლოგიურ კატასტროფებს ჩვენნაირი ღარიბი ქვეყანა ვერ გაუმკლავდება.

—რას ფიქრობთ გარემოს დაცვის სამინისტროს საქმიანობაზე?

— გარემოს დაცვის მინისტრი პროფესიონალია, სამინისტრო ამოძრავდა და თითქოს ცდილობს თავის სიმაღლეზე იდგეს. მაგრამ მეტი მოეთხოვებათ. მინისტრი ისეთი მებრძოლი უნდა იყოს, რომელსაც არავისი ეშინია, ის პრესკონფერენციას პრესკონფერენციაზე უნდა აწყობდეს და განუწყვეტლივ აწვდიდეს საზოგადოებას ინფორმაციას. ზოგადად კი მგონია, რომ გარემოს დაცვის სამინისტრო განათლებისა და კულტურის სამინისტროებთან ერთად უნდა მუშაობდეს. მათი ერთობლივი მოვალეობა და მიზანი ახალი თაობის აღზრდა უნდა იყოს. კულტურა ხომ მხოლოდ ხელოვნება არაა, როგორც ჩვენთან ჰგონიათ. ეს, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის ყოფითი კულტურაა — მისი ქცევის წესები, მისი მიმართებები სხვა ადამიანებთან, ბუნებასთან და ყველაფერ ცოცხალთან. დღეს არანაირი განათლება არაფერს აღარ ნიშნავს, თუ ის ეკოლოგიურ განათლებასაც არ შეიცავს. საჭიროა ბავშვობიდანვე გაიზარდოს ადამიანი დედამიწის მოქალაქედ. ამისთვის საჭიროა შესაბამისი საბავშვო ლიტერატურის, ანიმაციური და დოკუმენტური ფილმების, სპექტაკლების და ა.შ. სტიმულირება.

— რამდენად აქტიურები არიან გარემოსდამცველი ორგანიზაციები ან სხვასოციალური ინსტიტუტები, თუნდაც მედია, ეკლესია და ა.შ.?

— სავალალო სწორედ ის არის, რომ ეს პრობლემა არ აწუხებთ არც ჩვენს ჟურნალისტებს, არც „ექსპერტებს", არც „ინტელექტუალებს", არც სულიერ მწყემსებს და არც პარტიებს.

არასამთავრობო ორგანიზაციებიც არ არიან საკმარისად აქტიურები. შეიძლება არ ყოფნით ძალები და ფინანსები. თუმცა, ბევრია მართლა პროფესიონალი და თავდადებული გარემოსდამცველი, განსაკუთრებით „მწვანე ალტერნატივაში" და ორგანიზაცია „სტეფანწმინდაში". საინტერესოა, რატომ დუმს ეკლესიაც. მიკვირს რომ ეკლესია პასიური იყო მაშინაც, როცა მის სამწყსოს ფეხქვეშ იგდებდნენ და მაშინაც, როცა ბუნება ნადგურდებოდა. ბუნება ღმერთის შესაქმე არ არის? ღმერთს ბუნების გარდა არაფერი შეუქმნია, ხილულ სამყაროს ვგულისხმობ. ადამიანიც ბუნებაა, მისი გვირგვინი (რომელიც ბუნების გამნადგურებლად იქცა). როცა ნადგურდება ტბა, მდინარე, სასიცოცხლო სივრცე, ნუთუ ეკლესია ამ დროს განგაშის ზარებს არ უნდა რეკდეს? რაც შეეხება ჩვენს ტელევიზიებს, მათ რომ ფასეულობები ესმოდეთ და მათი დაცვის სურვილი ამოძრავებდეთ, რაღა გვიჭირდა. თუ ხალხს არ მიაწოდე ინფორმაცია, რა ელის აჭარას, სვანეთს, რაჭას, ყაზბეგს, იქნება ბურანში და ამ ბურანში ეწვევა კატასტროფა. ეკოლოგიური საკითხები სწორედ იმითაა გამორჩეული, რომ არ არსებობს ლოკალური ეკოლოგიური პრობლემა, ეს ყველას ეხება. მწვანეთა მოძრაობები მთელ მსოფლიოში ნებისმიერ ფაქტს ერთად აპროტესტებენ, რადგან იციან, რომ ზიანი და შედეგები ყველასთან მივა, სულ ერთია სად ზიანდება სიცოცხლე და დედამიწა.

— როგორია თქვენი, როგორც „მწვანე აქტივისტის" ალტერნატივა, როგორ განვითარებას სთავაზობთ ქვეყნის მესვეურებს?

— პირველ ყოვლისა, უნდა დაიდოს ეკონომიკური განვითარების კონცეფცია, ამას დაეყრდნოს ენერგეტიკული სტრატეგია, დღევანდელი მსოფლიოს ეკოლოგიური საფრთხეების გათვალისწინებით. როდესაც ვამბობთ, რომ ორიენტაცია დასავლეთზე გვაქვს აღებული, იციან კი, რომ იმავე ევროპაში როდესაც ტექნოკრატები დამანგრეველ გზას დაადგნენ, ამას სწორედ ის მსოფლმხედველობა დაუპირისპირდა, რის გამოც ევროპას ვცემთ პატივს — არა იმიტომ რომ იქ ტექნიკამ მოსპო სიცოცხლე, არამედ იმიტომ, რომ მათ ამისგან მწარე გაკვეთილი მიიღეს, დაკარგეს ბრწყინვალე ევროპული ლანდშაფტები, მაგრამ მიხვდნენ შეცდომას და ამ ყველაფერს საწინააღმდეგო ეკოლოგიური ცნობიერებით გაჯერებული მწვანეთა მოძრაობები დაუპირისპირდა. ჩვენ ევროპისგან ვიღებთ დესტრუქციულ და არა კონსტრუქციულ ტენდენციებს. ნეკროფილურ, გამანადგურებელ ტენდენციებს და არა იმას, რაც მართლა პატივისცემის ღირსია, რითაც ისინი მომავალს ქმნიან და თავისივე წიაღში წარმოქმნილ გამანადგურებელ ტენდენციებს ებრძვიან. ყველაზე მოწინავე, ზუსტი მეცნიერულ-ეთიკური დასკვნა კი ის არის, რომ კაცობრიობამ მომჭირნე, ეკონომიური, თავმდაბალი ცხოვრება და უბრალოების სიყვარული უნდა ისწავლოს. გაიაზროს, რომ ეს გაუმაძღრობა და ზღვარგადასული ფუფუნებისკენ ლტოლვა, რაც უამრავ ენერგიას მოიხმარს და ბუნებას ფიტავს, — საბოლოოდ, ნებისმიერ საზოგადოებას დაღუპავს.

პარლამენტი სახელმწიფო ენის ნორმების დარღვევისთვის ჯარიმების დაწესებას გეგმავს

სახელმწიფო ენის ნორმების დარღვევა თანამდებობის პირებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ ადმინისტრაციული წესით პასუხისმგებლობას გამოიწვევს.

„სახელმწიფო ენის შესახებ“ კანონში ცვლილების გარდა, ცვლილებების შეტანა იგეგმება „საჯარო სამსახურის შესახებ“, „მაუწყებლობის შესახებ“ კანონებში და „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“.

უნდა შეიქმნას სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული ორგანო (ენის დაცვის ინსპექცია), რომელიც საქართველოს მთავრობას დაექვემდებარება და კონტროლს გაუწევს ოფიციალურ დოკუმენტაციას, რეკლამებს, მედიის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას და გამოვლენილი დარღვევების შემთხვევაში, სანქციები დაწესდება. ენის დაცვის ინსპექცია ბიუჯეტიდან ყოველწიურად 2 მილიონი ლარით დაფინანსდება.

კოდექსის მიხედვით, თანამდებობის პირის მიერ სახელმწიფო ენის არცოდნის მოტივით განცხადების ან წერილობითი დოკუმენტის მიღებაზე უარის თქმა, გამოიწვევს თანამდებობის პირის დაჯარიმებას 200 ლარიდან 500 ლარამდე. ხოლო იგივე ქმედების განმეორებით ჩადენის შემთხვევაში ჯარიმა 500 ლარიდან 1 500 ლარამდე იზრდება.

ასევე, ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს ფიზიკური პირისთვის ენობრივი ნიშნით განათლების არჩევის უფლების შეზღუდვა-დისკრიმინაცია. აღნიშნული ქმედება ფიზიკური პირის შემთხვევაში 200-დან 500-ლარამდე, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში 500 ლარიდან 1 500 ლარამდე ჯარიმას ითვალისწინებს. დანაშაულის განმეორებით ჩადენის შემთხვევაში კი ფიზიკურ პირზე ჯარიმის ოდენობა 500-დან 1 500 ლარამდე, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში 3000 ლარამდე იდის.

ამავე კანონის მიხედვით, ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დარღვევისთვის ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ექვემდებარებიან მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. ჯარიმა პირველ ჯერზე 1 000-დან 5000 ლარამდე, ხოლო განმეორების შემთხვევაში 10 000 ლარამდე იზრდება.

„მედია, პირველი გულშემატკივარი და პატრონი უნდა იყოს ამ საკითხის და თუკი ზოგჯერ ენის სახელმწიფო ინსპექცია, რომლის დაარსება ჩადებულია ამ კანონში, მოაგონებს მედიას თავის ვალდებულებებს და ზოგჯერ, ხუმრობით რომ ვთქვათ, ყურს აუწევს, ამაში ცუდი არაფერი არ იქნება. იგეგმება სახელმწიფო ენის ინსპექციის შექმნა. ახალი სტრუქტურა საქართველოს მთავრობას დაექვემდებარება, მოახდენს მონიტორინგს, რეკომენდაციებს და, შესაბამის შემთხვევაში, დაჯარიმებს მასობრივ საინფორმაციო საშუალებებს“, – განუცხადა ჟურნალისტებს კანონპროექტის ერთ-ერთმა ავტორმა, საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ივანე კიღურაძემ.

კანონპროექტში არ არის აღნიშნული, რა ნორმებს უნდა აკმაყოფილებდნენ საინფორმაციო საშუალებები. ივანე კიღურაძის თქმით, ნორმების დაწესებაზე სპეციალური კომისია უახლოეს დღეებში იმსჯელებს.

ტატა გულბანი

საქართველოს ჟურნალისტიკური ეთიკის ქარტიამ 6 ტელევიზიის წინასაარჩევნო მედია მონიტორინგის შედეგები გამოაქვეყნა

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებული მედიამონიტორინგის შუალედური ანგარიში წარმოადგინა. ქარტია 2 სექტემბრიდან ახორციელებს ექვსი სატელევიზიო არხის (საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის, „რუსთავი 2-ის“, „იმედის“, „მაესტროს“, „კავკასიისა“ და „აჭარის“ ტელევიზიის) მონიტორინგს.

პროექტი ხორციელდება სლოვაკურ მედიამონიტორინგის ორგანიზაცია MEMO 98-თან ერთად ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით. მედიის მონიტორინგის წინასწარი ანგარიშის შედეგები 2-15 სექტემბრის პერიოდში გვიჩვენებს, რომ მედია საშუალებების დიდმა ნაწილმა პრაიმ-თაიმში გასულ საინფორმაციო პროგრამებში პოლიტიკური პარტიები და კანდიდატები, ძირითადად, დაბალანსებულად წარმოადგინა. თუმცა, ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ საარჩევნო კამპანიის გაშუქებისას ამ დრომდე ძირითად ყურადღებას აქცევდნენ საარჩევნო შეხვედრების გაშუქებას და ძალიან მცირედ ან საერთოდ არ აშუქებდნენ თავად კანდიდატებსა და მათ პროგრამებს შორის განსხვავებას.

მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ საზოგადოების მიერ დაფინანსებული საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო გადაცემებში, დაახლოებით, თანაბრად და ნეიტრალურად გაშუქდა როგორც „ქართული ოცნება“, ისე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (15.9% და 16.4%).

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის მსგავსად კერძო მაუწყებელმა „რუსთავი 2-მაც“ პრაიმ-თაიმში თავისი საინფორმაციო დროის უმეტესი ნაწილი (38.5%) მინისტრთა კაბინეტის (მთავრობის) გაშუქებას დაუთმო.

კიდევ ერთმა კერძო მაუწყებელის „იმედმა“ დროის უდიდესი ნაწილი (62.3%) მთავრობის გაშუქებას დაუთმო – გაშუქების ტონი, ძირითადად, ნეიტრალური იყო.

სხვა ტელევიზიების მსგავსად „მაესტრომაც“ თითქმის მსგავსი დრო დაუთმო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და „ქართული ოცნების“ გაშუქებას.

განსხვავებული აღმოჩნდა ტელეკომპანია „კავკასიის“ მონაცემები. მისი საინფორმაციო და არჩევნებთან დაკავშირებული ახალი ამბების ნახევარი მთავრობას ეძღვნება – დაახლოებით, 46% ამ გაშუქებისა დადებითია და მხოლოდ 14%-ია ნეგატიური. რაც შეეხება ორ ძირითად პარტიას, „ქართული ოცნება“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, შესაბამისად, 14.9 და 21.1%-ით გაშუქდა. ტელეკომპანია „აჭარამ“ თავისი პოლიტიკური და არჩევნებთან დაკავშირებული ახალი ამბების 73.1% მთავრობის ღონისძიებებს მიუძღვნა – ეს გაშუქება უაღრესად ნეიტრალური ხასიათის იყო.

ჟურნალისტური ეთიკის ქარტიისა და „მემო 98-ის“ მიერ ჩატარებული ორკვირიანი მონიტორინგის მონაცემების მიხედვით ჩანს, რომ მედიასაშუალებების უდიდესი ნაწილი წინასაარჩევნო პერიოდს, ძირითადად, დაბალანსებულად აშუქებს და ყურადღების უდიდეს ნაწილს მთავრობას, ორ მთავარ პარტიასა და მათ კანდიდატებს უთმობს. იყო მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა, როცა სატელევიზიო არხებმა მაყურებელს არ მიაწოდეს ოპოზიციური შეხედულება გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით. ჟურნალისტური ეთიკის ქარტია და „მემო 98“ განაგრძობენ წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგს, რათა განსაზღვრონ, თუ რამდენად აქვს ყოველივე ზემოაღნიშნულს ტენდენციის სახე. შემდეგ ანგარიში ასევე დაეთმობა საპრეზიდენტო კანდიდატების გაშუქებისა და პოლიტიკური პროგრამების (დებატები და თოქ-შოუები) ანალიზს.

ქარტია იყენებს „მემო 98-ის“, იმ ორგანიზაციის, მიერ შემუშავებულ მეთოდოლოგიას, რომელმაც ბოლო 15 წლის განმავლობაში მსგავსი პროექტები განახორციელა მსოფლიოს 47 ქვეყანაში.

ნესტან ჩაგელიშვილი

განცხადებები

იყიდება

- იყიდება 500 კვ.მ. 2-სართულიანი კაპიტალური სახლი, 10000 კვ.მ. მიწის ნაკვეთით, ხეხილით, ვენახით და სხვა.

მისამართი: თერჯოლის რაიონი, სოფელი ჭოგნარი, ქუთაისიდან 3 კილომეტრში.
ტელეფონი: 599 43 40 40

იყიდება სამოსახლო **მიწის ნაკვეთი** ქუთაისში, ტყიბულის ქ. №169. 550 კვ.მ. ფასი შეთანხმებით.
ტელ.: 598 577 129

- იყიდება 4-განყოფილებიანი რუსული მაცივარი ქუთაისში, რომელიც მუშაობს 0 გრადუს ტემპერატურაზე. ახალი გადაღებილი ნორმალურ მდგომარეობაში, დაზიანებული აქვს მხოლოდ მარჯვენა გვერდის მცირე ნაწილი კოროზიით. გასაყიდი ფასი 350 ლარი.

ტელეფონი: 558 76 93 46

- 3-ოთახიანი, 4(5), 80 კვ.მ. ურემონტო კუთხის ბინა ქუთაისში, აღმაშენებლის ქ. №41-ში, ნინოშვილის ბაზართან, ამოსაშენებელი ლოჯიით და კიბის უჯრედით, სარდაფით. ფასთან და გადახდის პირობებთან დაკავშირებით შეთანხმება შესაძელებელია.

ფასი: 32000 $
ტელ.: 599 45 74 31; 599 13 66 01.
ალეკო გიორგაძე

სასწრაფოდ იყიდება! 6000 კვ.მ. მიწის ნაკვთი ქუთაისის შესასვლელში. **ფასი:** 1კვ.მ – 2 ლარი
ტელ.: 431 25 53 12

უძრავი ქონება

- **გირავდება ან ქირავდება!** 26 კვ.მ. რუსთაველის 71-ში გირავდება ან ქირავდება.

ფასი: 10000 $
ტელ.: 577 92 19 02. **ნანა**

გაზეთი „P.S.“(„პოსტსკრიპტუმი“) გაცნობებთ

თქვენ შეგიძლიათ, ისარგებლოთ ჩვენი ახალი სერვისით - მცირე განცხადებების გამოქვეყნება უფასო განცხადების ტალონით!
ამ მომსახურების მისაღებად საკმარისია, გაზეთიდან ამოჭრათ სპეციალური ტალონი, დაწეროთ თქვენთვის სასურველი განცხადებისა თუ მილოცვის ტექსტი და მოგვაწოდოთ რედაქციაში (მისამართი: რუსთაველის 37 ა), ან დატოვოთ „პოპულში“ მდებარე წიგნების მაღაზია „ქიმერიონში“ ყოველი კვირის ხუთშაბათამდე (მისამართი: რუსთაველის 141).
ძვირფასო მკითხველო! შეგახსენებთ ასევე, რომ თქვენ შეგიძლიათ გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“ გამოიწეროთ და ბინაზე ან ოფისში მიიღოთ, ფასნამატის გარეშე, ან შეიძინოთ ქუთაისის ყველა საგაზეთო ჯიხურში და მარკეტში, მათ შორის „პოპულში“!
გაზეთის გამოწერისათვის დაგვიკავშირდით ტელეფონებზე: 24 45 46, 599 17 70 39.

- **2-ოთახიანი, ინდივიდუალური პრ. 2(6), 45 კვ.მ. ევრორემონტი ა/სადგომი, ბ/აირი, გათბობა,** კონდიციონერი, მ/წყალი, რკინის კარი, ტელეფონი, კომფორტული ბინა ავეჯი, თეთრეული, საჭირო ჭურჭელი, თეთრეული, კონდეციონერი (ზიმა-ლეტა). ფასი: 75 ლარი, ტელ.: 555 22 59 59

საერთო ფართი: 45 კვ.მ.
სართული: 2 ოთახების, რაოდენობა: 2, ფასი: 75 ლარი,
ტელეფონი: 555 22 59 59

- **ქირავდება!** 50 კვ.მ. ქუთაისში წერეთლის უნივერსიტეტთან საკუთარი სახლის 1-ლი სართული, ახალი გარემონტებული, იზოლირებული შესასვლელით სამზარეულოთი, ტუალეტში ახალი გამოცვლილი სან-ტექნიკით, მუდმივი გაზით და წყლით, ვერანდით. რკინიგზის საავადმყოფოსთან.

ტელ.: 598 59 80 42

- **ქირავდება!** 2-ოთახიანი. ქალაქური პრ. 3(9), 80 კვ.მ. გარემონტებული მ/წყალი, რკინის კარი, ავეჯით, ღია აივნებით.

მისასამართი: ქუთაისი, გუგუნავას ქუჩა №15, III კვ. I სად. (სასტუმრო „საქართველოს“ თავზე).
ფასი: 350 ლარი
ტელ.: 595 58 40 64; 492 25 25 84.
ლიანა

სხვადასხვა

- ვყიდი 100% ნატურალურ წაბლის თაფლს ქუთაისში, მაქვს ლაბორატორიული დამოწმებაც.

ტელეფონი: 598 11 30 70

- ვყიდი განსაკუთრებულ, უმაღლესი ხარისხის, სერტიფიცირებულ ღვინოს ზესტაფონში. მაქვს სერტიფიკატი. ციცქა — 10 ტონა. მთლიანი შესყიდვის შემთხვევაში, 1 ლიტრის ფასი — 3 ლარი.

ტელეფონი: 557 97 57 47

- იყიდება ძველი რუსული ფული ქუთაისში: 100 რუბლი 1910 წლის 10 რუბლი 1909 წლის 5 რუბლი 1909 წლის 3 რუბლი 1905 წლის 1 რუბლი 1898 წლის.

ტელეფონი: 599 70 01 52

- იყიდება 300 ცალი ცეცხლგამძლე აგური ქუთაისში. 1ცალი — 1 ლარი.

ტელეფონი: 599 07 40 47

მოვამზადებ

- **ამერიკელი პედაგოგი შეასწავლის ინგლისურ ენას.**

CELTA -ს მიერ სერთიფიცირებული ამერიკელი პედაგოგი შეასწავლის ინგლისურ ენას მაღალ დონეზე. მეცადინეობები ჩატარდება 3-4 კაციან ჯგუფებში. მეცადინეობებს დაეთმობა ერთი საათი, კვირაში 4 დღე. ერთი თვე — 80 ლარი.

ტელ.: 557 26 08 43

მისამართი: ქუთაისი, ნიკეას ქუჩა №37. მესამე სადარბაზო, მესამე სართული.

- მოვამზადებ სკოლამდელი და სკოლის ასაკის ბავშვებს ინგლისურ ენაში, ასევე უფროსი ასაკის ნებისმიერ მსურველს. აბიტურიენტებს — ინგლისური ენის ჩაბარების 100%-იანი გარანტიით.

ტელ.: 26 30 77
მისამართი: თაბუკაშვილის 28/4

მოვამზადებ სკოლის მოსწავლეებსა და აბიტურიენტებს მათემატიკაში, უნარებსა და ფიზიკაში.
ტელ.: 555 3182 69

ვაკანსია

გაზეთი „P.S.“ („პოსტსკრიპტუმი“) აცხადებს ვაკანსიას **სარეკლამო აგენტის** თანამდებობაზე, მაღალი პროცენტული ანაზღაურებით.
ტელ.: 24 45 46, 599 107794

უფასო განცხადების ტალონი

_____

_____

_____

_____

უფასო განცხადების ტალონი ამოჭერით ტალონი, ჩაწერეთ შიგ თქვენი განცხადების ტექსტი, არაუმეტეს 20 სიტყვისა, მოგვაწოდეთ რედაქციაში მისამართზე: რუსთაველის ქ. 37ა. ან დატოვეთ წიგნების მაღაზია „ქიმერიონში“ მისამართზე: რუსთაველის ქ. №141 („პოპული“).

კვირის ჰოროსკოპი

ვერძი: ოჯახური საქმეები ლამის მთელ კვირას წაგართმევთ. თუმცა, კვირის ბოლოს ცოტა ამოსუნთქვასაც მოახერხებთ. ბავშვებს ყურადღება მიაქციეთ.

კურო: სასურველია მეტი ყურადღება დაუთმოთ კომფორტის უზრუნველყოფას. ეს შეიძლება იყოს სახლი ან სამსახური. თქვენი სურვილისამებრ მოაწყვეთ გარემო, ამ მხრივ, ხელი მოგემართებათ.

ტყუპები: ბევრი ახალი იდეა გექნებათ, რომლებიც კარგ დივიდენდებსაც მოგიტანთ. ეცადეთ, მეგობრებთან ხშირი ურთიერთობა გქონდეთ. მხიარულ წვეულებებზე უარი არ თქვათ, ეს კვირა კარგია იმიჯის შესაცვლელად.

კირჩხიბი: ყველაზე რთულ პრობლემებსაც მარტივად მოაგვარებთ. ახლობლებსა და ნათესავებს მეტი დრო დაუთმეთ.

ლომი: ეს დღეები ჩაივლის ეფექტურად, თუ თქვენ მიმართავთ თქვენს პოტენციალს იმ საქმეების გადაწყვეტაზე, რომლებისთვისაც საჭიროა ფიზიკური დატვირთვა.

ქალწული: იყავით მომთმენი და სამართლიანი. შეძლებისდაგვარად ეცადეთ დროის მნიშვნელოვანი ნაწილი სახლს დაუთმოთ და საოჯახო პრობლემები მოაგვაროთ. საინტერესო ურთიერთობა გელით ამ კვირაში გაცნობილ საპირისპირო სქესის წარმომადგენელთან.

სასწორი: წარმატებული კვირა გელით. ეცადეთ, ფინანსური პრობლემები მოაგვაროთ. ახალი ნაცნობობა რომანტიკულ თავგადასავლებს გპირდებათ.

მორიელი: შესანიშნავი პერიოდია გარეთ გასასვლელად. საღამოობით შეეცადეთ მეგობრულ წრეში გაატაროთ დრო.

მშვილდოსანი: მნიშვნელოვან საქმეს მოაგვარებთ. ბედი გწყალობთ. გზიდან ახალ ამბავს იგებთ. შეიძლება სადმე გამგზავრება მოგიწიოთ. კონცერტზე ან საღამოზე მოხვდებით, სადაც საინტერესო პიროვნებას გაიცნობთ.

თხის რქა: ისე ხართ ყოველდღიური საზრუნავით გატაცებული, რომ ძალიან დაშორდით რომანტიკულ განცდებს. ჯობს, ზოგჯერ მაინც შეხედოთ სამყაროს სხვა თავალით და დრო აქტიურ დასვენებას დაუთმოთ.

მერწყული: სამსახურში და კარიერაში, შესაძლებელია, მნიშვნელოვანი მოვლენები განვითარდეს. უსიამოვნება გექნებათ კოლეგებთან. შესაძლებელია, მოგიწიოთ სამსახურში არჩევნებში მონაწილეობა და გაიუმჯობესოთ ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა.

თევზები: მოერიდეთ ემოციურ საქმეებს, ნუ აიშლით ნერვებს. სანამ რამეს გადაწყვეტთ კარგად გაანალიზეთ, ენდეთ ინტუიციას ის არ გიღალატებთ.

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 3. ფრანსუა; 5. მისია; 6. არი; 8. ორი; 9. მარია; 11. ხანძარი.
შვეულად: 1. კალია; 2. ასი; 3. ფრიდრიხ; 4. ირდილი; 7. მარაო; 10. ანა.

სომელიეთა ასოციაციამ და ღვინის ეროვნულმა სააგენტომ თანამშრომლობის მემორანდუმი ხუთ ქვეყანასთან გააფორმა

23 სექტემბრიდან საქართველოს სომელიეთა ასოციაცია მსოფლიოს სომელიეთა ასოციაციის აქტიური წევრი გახდა. ამის დასტური გახლავთ ის ფაქტი, რომ საქართველოს ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ ლევან დავითაშვილმა და სომელიეთა ასოციაციის პრეზიდენტმა შალვა ხეცურიანმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს უკრაინის, რუსეთის, ლატვიის, ლიტვის და ესტონეთის სომელიეთა ასოციაციებთან.

მემორანდუმის ხელმოწერა

ღვინის ეროვნულ სააგენტოსა და ასოციაციებს შორის გაფორმებული მემორანდუმის მიზანია ხელმომწერი ქვეყნების სომელიეთა ასოციაციებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება და ქართული ღვინის პოპულარიზაციისთვის ხელშეწყობა, რაც, ზოგადად, ქართული გასტრონომიის ცნობადობის ამაღლებას განაპირობებს.

მემორანდუმის ხელმოწერასთან დაკავშირებით 23 სექტემბერს სასტუმრო „რედისონში" პრესკონფერენცია გამართეს მემორანდუმის ხელმომწერი ქვეყნების წარმომადგენლებმა: საქართველოს ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ ლევან დავითაშვილმა, საქართველოს სომელიეთა ასოციაციის პრეზიდენტმა შალვა ხეცურიანმა, უკრაინის სომელიეთა ასოციაციის პრეზიდენტმა დმიტრო სიდორენკომ, ლატვიის სომელიეთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა რომანს კომარსმა, რუსეთის სომელიეთა და ექსპერტთა კავშირის თავმჯდომარემ არტურ სარქისიანმა, ლიტვის სომელიეთა ასოციაციის პრეზიდენტმა რასა სტარკუსმა და ესტონეთის სომელიეთა ასოციაციის პრეზიდენტმა კრისტელ ნომიკიმ. მათ ისაუბრეს იმ სამომავლო გეგმებზე, რაც მემორანდუმის ფარგლებში ქართული ღვინის პოპულარიზაციის კუთხითაა დაგეგმილი.

დღევანდელ პრესკონფერენციას ასევე ესწრებოდნენ სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები და ასოციაცია„ქართული ღვინოს" პრეზიდენტი თინა კეზელი.

როგორც საქართველოს სომელიეთა ასოციაციის პრეზიდენტმა, შალვა ხეცურიანმა განაცხადა: „დღეს ძალიან დიდი მხარდაჭერა არსებობს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ღვინის ეროვნული სააგენტოსაგან, რისი შედეგიც არის სწორედ ასოციაციის მიერ პირველი მემორანდუმის გაფორმება 5 ქვეყანასთან."

აღსანიშნავია, რომ 2013-2014 წლებში ამერიკის და ევროპის ბაზრებთან ერთად, ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელებისათვის პრიორიტეტს რუსეთისა და ბალტიისპირეთის ბაზრები წარმოადგენს. შესაბამისად, აღნიშნულ ქვეყნებში მემორანდუმით დაგეგმილია აქტიური მარკეტინგული თუ კულტურული ღონისძიებების გატარება, რაც ქართული ღვინის ცნობადობის გაზრდისათვის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს.

ნატო გუბელაძე
psnews.ge

გილოცავთ!

ჩვენი ოჯახის საყვარელ სიძეს, **შოთა გაბრიელაშვილს,** ვულოცავთ დაბადების დღეს!
ვუსურვებთ ბედნიერ ხანგრძლივ სიცოცხლეს, თავის ულამაზეს ოჯახთან და გვარსახელის გამგრძელებელ უსაყვარლეს პირველ შვილიშვილთან, პატარა შოთიკო გაბრიელაშვილთან ერთად!

გივი, ნატო, ნინა და რეზიკო ლუტიძეები

გილოცავთ!

ჩემს უსაყვარლეს მეუღლეს, ჩემი ცხოვრების ღირსეულ თანამგზავრს, ჩემს **გივიკო ლუტიძეს** ვულოცავ დაბადების დღეს და ქორწინების 5 წლისთავს! ჯანმრთელობა, ბედნიერება და სიყვარული გქონოდეს მუდამ, შენს ცოლშვილთან, დედასთან და ყველა საყვარელ ადამიანთან ერთად! უფალი იყოს შენი მფარველი!

მარად შენზე შეყვარებული ნატო



შეადგინა ალეკო ნემსაძე

ვინ არის ფოტოზე?

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

კახა ბენდუქიძე მხოლოდ **სულიკო გიორგაძემ** ამოიცნო.

რას დაარქმევდით?

ბიძინა ივანიშვილი და გიორგი მარგველაშვილი

დაგვიკავშირდით:
- **(0 431) 24-45-46, 24-82-25.**
- **psnews27@gmail.com**

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

დავით საგანელიძე

დავით საგანელიძე: „ბიძინა, მალე გამიშვი, დავიტანჯე ქუთაისში აღმა-დაღმა სიარულით"

სერგო გიორგაძე

კროსვორდი

ჰორიზონტალურად: 3. ინგლისელი პოეტი ლორდ ჯორჯ ...; 5. ნავსადგური; 6. ჩინეთის ძვ. ლიდერი ... ძე დუნი; 8. ქალაქი ... ფრანცისკო; 9. ერთ-ერთი აფრიკული ტომი; 11. ეს ციხესიმაგრე სუვოროვმა აიღო.
ვერტიკალურად: 1. მატყუარა ილეთი ფეხბურთში; 2. ხის დიდი მახრჩობელა გველი; 3. გიგანტური აფრიკული ხე; 4. ქალაქი ნიგერიაში; 7. მისნობა, ჯადოქრობა; 10. ბალანი ადამიანის თავზე.